ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

(24) X – XI

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№95 (1605)

29-IX — 1.X,1997 წელი

## ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, მაგრამ მოსამართლის კარიერა დააბნელა

იხ. მესამე გვერდი

## ალიაქოთი რუსთავში



## როგორ გაუკეთეს „მოქალაქეებმა" რეკლამა ლეიბორისტებს

იხ. მეორე გვერდი

## მიუნჰაუზენი აფხაზეთში,

ანუ როგორ გვიმახინჯებენ ისტორიას

იხ. მეოთხე გვერდი

## შესაკრებთა ადანაცვლებით ჯამი არ, უკაცრავად, იცვლება!

იხ. მესამე გვერდი

## ორსახოვანი იანუსია, სიმართლე ერთია...

იხ. მეექვსე გვერდი

## არ შეიძლება იმის დავიწყება, როგორ მოექცნენ ძოძუაშვილს...

იხ. მეშვიდე გვერდი

## სომხეთი — რუსეთის სანდო პლაცდარმი...

იხ. მეოთხე გვერდი

## ასლანი იქ არის, მაგრამ აქ იგრძნობა...

იხ. მერვე გვერდი

ვისაც გსურთ წიგნების, დისერტაციების, რეფერატების, ჟურნალების, გაზეთების აწყობა და სასტამბოდ მომზადება, ნებისმიერ ენაზე, უმცირეს ვადებში და ყველაზე იაფად, მობრძანდით ჩვენს კომპიუტერულ ცენტრში.
ტელეფონი: 93-19-99
მისამართი: პუშკინის ქ. №5 II სართ.



# ალიაქოთი რუსთავში

## როგორ გაუკეთეს „მოქალაქეებმა" რეკლამა ლეიბორისტებს



რუსთავში ლეიბორისტების ჩასვლა მნიშვნელოვან მოვლენასთან იყო დაკავშირებული, დაფუძნდა პარტიის რუსთავის განყოფილება. ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა: სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დათვალიერება, ჟიული შარტავას ძეგლის ყვავილებით შემკობის ცერემონიალი, ბოლოს - საზეიმო სხდომა. გამოვიდა ტრიბუნაზე შალვა ნათელაშვილი და ილაპარაკა იმაზე, რომ ეს გაბერილი ბიუროკრატიული აპარატი ძალზე ბევრს ჭამს; რომ ათასგვარი პომპეზური სანახაობებისათვის იხარჯება ფული ბიუჯეტიდან; რომ პარალელური მართვის სტრუქტურები არაფერს სასიკეთოს არ მოიტანენ და ათასი სხვა რამ. სალაპარაკოს რა გამოლევს, საითაც მიიხედავ, ყველგან პრობლემებია.

შუა მოხსენების დროს ერთმა ახალგაზრდამ რეპლიკა შეჰკადრა „მოკრძალებით". ბოდიშის მოხდით თავი არ შეუწუხებია. ერთს მეორე წამოეშველა. აი, მესამე რომ წამოეშველა, ცხადი გახდა, ისინი ერთი გუნდის მოთამაშეები იყვნენ, ისე საეჭვოდ, ერთ ხმაზე მღეროდნენ. მათ „სიმღერაზე" ისიც შეეტყოთ, ვინ იყვნენ. „მოქალაქეთა კავშირის" წარმომადგენლები შემოსულან, ასე, ოც კაცამდე ისხდნენ ბოლო რიგებში და ყოველგვარი ზნეობისა თუ ზრდილობის ნორმების იგნორირებით აუტანელ სიტუაციას ქმნიდნენ. ადრე პარტიული ხალხი ცდილობდა ლიტერატურულთან მიახლოებული ქართულით მაინც ელაპარაკა. ამათ, ეტყობა, მაგ საკითხზე საერთოდ არ უფიქრიათ არასოდეს, ქუჩური სტილით ამჯობინეს საქმის გარჩევა. მოკლედ, ჩოგბურთის მაყურებლებივით ატრიალებდა ხალხი თავებს, აქეთ შალვა ნათელაშვილი, იქით „მოქალაქეები" - მომისმინეთ, ბატონო, ვიტყვი ჩემს სათქმელს და შემდეგ თქვენც თქვითო. არაო, თუ კონკრეტულად ილაპარაკებ, მოგისმენთ, თუ არა და, არაო. შე მამაცხონებულო, ვინ ოხერი გეხვეწება, გინდა თუ არა მომისმინე, არ გინდა - ადექი და წადი.

ერთი მომენტი იყო საინტერესო: შ.ნათელაშვილი ამბობს, ხალხი სოციალურად დაუცველია, მთელი სიმდიდრე ერთ მუჭა ვაი-კაპიტალისტების ხელშია და სხვა ამისთანები. წამოდგა ერთი „იმათიანი" (უკვე მთელმა დარბაზმა „იმათიანებად" ჩათვალა ეს ხალხი) და მთელი ხმით უყვირის, ბოდიში, გაჰკივის: „თქვენ რა გააკეთეთ მაგ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში?" გადაირევი კაცი, მმართველი პარტიის წევრი სხვას ეკითხება, შენ რა გააკეთეო.

ზოგიერთს ეგონა, ალბათ, რაღაც ნარკოტიკები აქვთ მიღებულიო. მაგრამ საეჭვოა, სამაგისო არაფერი ეტყობოდათ უბრალოდ, ძალზე იდეური ხალხია, უბრძანა უფროსმა და ისინიც პირნათლად ასრულებდნენ დავალებას. მაგრამ ერთი რამ არის უცნაური, რა უფროსი უნდა გყავდეს ისეთი, რომ ასეთ უზრდელობაზე და უმსგავსობაზე მოაწერო ხელი?

ისე კი, საინტერესო იყო, მათი გვარები გაეგო ადამიანს, მაგრამ მაგას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მათი გვარი არის „მოქალაქეთა", სახელი კი „კავშირი".

ჰოდა, ამ „მოქალაქეთა კავშირმა" კარგი რეკლამა კი გაუკეთეს ლეიბორისტებს. შალვა ნათელაშვილმა თქვა, ნეტა სხვა დროსაც ამნაირად დაგვეხმარონ და მომავალ არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული გვაქვსო.

აქ აღარ გადმოგცემთ, ერთმა მათგანმა როგორი სიტყვებით „შეამკო" ნესტან კირთაძე. უბრალოდ, ეს სიტყვები მხოლოდ მამაკაცთა საზოგადოებაშიც უხერხულია. რას იზამ, არც აქ უღალატეს „მოქალაქეებმა" თავის სტილს. ბოლოს ჩასხდნენ თავის „მოსკვიჩში" და ვალმოხდილებმა დატოვეს იქაურობა. აფერუმ!

**პაატა მანჟულაშვილი**

# თემურ ჭორჭოლიანი:

## მართლა ცხვრები კი არა ვართ



აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგს, რომელიც ვაკის პარკში გაიმართა, საკმაოდ ნეგატიური განწყობით შეხვდა მონარქისტული პარტიის ლიდერი, თეიმურაზ ჭორჭოლიანი. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, ეს აქცია ხელისუფლების მიტინგს უფრო ჰგავდა, რომელიც სახალხო სეირნობით დამთავრდა.

თეიმურაზ ჭორჭოლიანი ფიქრობს, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებითა და მტრებთან ლოიალური შეხვედრებით რეალურად არაფერი შეიცვლება საქართველოში, ხოლო საკუთარი აზრის გამოხატვისაგან იგი თავს იკავებს, ვინაიდან მართვის სადავეები მის ხელში არაა.

და მაინც - გეა-ს კორესპონდენტის შეკითხვაზე: „თქვენ რომ ფლობდეთ ამ სადავეებს, რა გზას შემოგვთავაზებდით აფხაზეთის დასაბრუნებლად", ჭორჭოლიანმა განაცხადა, რომ გამოსავალი არსებობს რადიკალური მოდელით, ანუ საჭიროა სამხედრო შეიარაღების გაძლიერება. ამ ეტაპზე იგი ომის განახლების კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან ომის დაწყებაში საქართველოს ხელახალ დამარცხებას ხედავს. იმ პოლიტიკით, რასაც ახლა ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება, ჭორჭოლიანის აზრით, უკეთეს შემთხვევაში მივიღებთ „ჩეხო-სლოვაკურ" ვარიანტს, სადაც საქართველო და აფხაზეთი ერთმანეთის თანაბარი სუბიექტები იქნება. მას ისევ საკუთარი ხალხის იმედი აქვს. „ნაცია არსებობს, მართლა ცხვრები კი არა ვართ. ჩვენ ჩვენი ინტერესებისთვის ბრძოლას ვერავინ აგვიკრძალავს, რისი საუკეთესო მაგალითიც ქართული პარტიზანული მოძრაობაა", - აცხადებს თეიმურაზ ჭორჭოლიანი.

**ინგა გრიგოლია**

# სპონსორობა — ბრძანებით?

„სქოლიოზით დაავადებულ ბავშვებს მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული წამლებითა და მწყობრიდან გამოსული სამედიცინო აპარატურით ვმკურნალობთ", - უთხრა პრაიმ-ნიუსს რუსთავის სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ნოდარ ვარდოსანიძემ.

ინტერნატში 368 სქოლიოზით დაავადებული ბავშვია და ყველა მათგანი ადგილობრივ მკურნალობას ექვემდებარება.

ნოდარ ვარდოსანიძის თქმით, „არსებობს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში არსებული ყველა სკოლა-ინტერნატისა და უპატრონო ბავშვთა სახლისთვის სპონსორის გამოყოფას. ამ დადგენილების თანახმად, რუსთავის სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს სპონსორობას უწევს „საქნავთობის" ხელმძღვანელობა".

„მითხრეს, მდიდარი სპონსორი გყავთო, მაგრამ ჩვენამდე ის ვერაფრით მოვიყვანეთ", - აღნიშნა ინტერნატის დირექტორმა. (პრაიმ-ნიუსი)

# აი, თურმე რატომ დარჩნენ ბორჯომელები უმუშევრად

საქართველოს სამრეწველო და საფინანსო ბაზარზე კონცერნი „ქართუ", თითქოს, შეუმჩნევლად შემოვიდა. „ქართუს" ბორჯომი, კომერციული ბანკი „როსიისკი კრედიტი - ქართუ", ზაფხულის სეზონზე გამოჩენილი ნაყინი „ქართუ" და ბოლოს, 27 სექტემბერს, უკვე ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი-ქართუ", რომელიც კონცერნის მფლობელობაში 1995 წელს გადასულა.

როგორც ჩანს, „ქართუს" ხილული და უხილავი მესვეურები ჯერ კიდევ ბევრ სიურპრიზს გვიმზადებენ.

„კიდევ ერთ მიზანს მივაღწიეთ - შევქმენით ევროპულ ბაზარზე გასასვლელად ხარისხზე ორიენტირებული და მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ფეხსაცმლის ფაბრიკა", - უთხრა პრაიმ-ნიუსს კონცერნის გენერალურმა დირექტორმა ლაშა ძიძავამ.

საუბრისას გაირკვა, რომ კონცერნი საკმაოდ დიდ აქტივებს ფლობს. „ქართუსა" და მისი შვილობილი კომპანიების ინტერესები ისეთ სფეროებს მოიცავს, როგორიცაა აქციათა პაკეტების მართვა, მსუბუქი მრეწველობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, აგრობიზნესი, კვების მრეწველობა და საბანკო საქმე. ძიძავას თქმით, კონცერნის საწესდებო კაპიტალი - 14 მილიონი ლარი - შევსებულია.

„ბორჯომის" ტენდერში თი-ბი-სი-ჯგუფის ძირითადი კონკურენტი სწორედ კონცერნი „ქართუ" იყო. მაშინ თი-ბი-სი-მ „ქართუს" აჯობა. მან 9 წლით მიიღო ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმისა და რეალიზაციის უფლება.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში ძიძავამ აღნიშნა, რომ „ქართუ" იძულებული გახდა დროებით დაეთმო ბაზრის ეს სეგმენტი და გაეჩერებინა მის საკუთრებაში მყოფი ბორჯომის მინის ტარის ქარხანა, სადაც დასაქმებული იყო 1200 კაცი. ტექნოლოგიურად, მინის ტარის ქარხნის გაჩერება არ შეიძლება. ამან, გარკვეულწილად, „ქართუს" აქტივებს ზარალი მიაყენა.

„ცარიელი ბოთლი ზარალიანია. მიმზიდველობას მას წყალი მატებს. ჩამოსხმაზე ლიცენზია რომ ვერ ავიღეთ, ქარხანა გავაჩერეთ", - თქვა ლაშა ძიძავამ.

მისი თქმით, „ქართუ" აპირებს მონაწილეობა მიიღოს მიტარბის წყლის ჩამოსხმის ლიცენზირების კონკურსში, რომელიც უახლოეს პერიოდში ჩატარდება.

რაც შეეხება „ქართუს" საქმიანობას საბანკო ბაზარზე, რუსეთის საბანკო სისტემის ერთ-ერთი გიგანტის - „როსიისკი კრედიტის" შვილობილი ბანკი „როსიისკი კრედიტი - ქართუ" საქართველოში, ძირითადად, საინვესტიციო საქმიანობას ეწევა და წვრილ საბანკო ოპერაციებზე თავს არ იწუხებს.

ლაშა ძიძავას განმარტებით, „როსიისკი კრედიტი - ქართუს" სტრატეგიული პოლიტიკა ინვესტიციებზეა აგებული. ახლახანს, ბანკმა ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით დააფინანსა ორი გრანდიოზული პროექტი, რომელთა ღირებულება მილიონნახევრიდან ორ მილიონამდე მერყეობს. ეს არის ბაზალტის ქვისაგან ბოჭკოს წარმოება თელავში და კვების მრეწველობის სფეროში ნაყინის წარმოება და ამ პროდუქციის უნარჩენოდ ათვისება.

რაც შეეხება ბაზალტის ქვისგან ბოჭკოს წარმოებას, ძიძავას თქმით, ამ პროექტზე უკვე გაცემულია პირველი ტრანში და თელავში ჩატანილია მანქანა-დანადგარები. ბაზალტის ბოჭკო მდგრადობით ხასიათდება და გამოიყენება ქიმიურ და თევზსაჭერ მრეწველობაში.

უნდა აღინიშნოს პროექტების გრძელვადიანობა. „ნულოვანი განაკვეთით კრედიტი იმიტომ გავეცით, რომ იმ ორგანიზაციების დამფუძნებლები, სადაც ზემოხსენებული პროექტები უნდა განხორციელდეს, თავად ჩვენ გახლავართ. გრძელვადიანი საინვესტიციო თანხების კომერციული საპროცენტო განაკვეთით გაცემა კი უაზრობაა", - უთხრა პრაიმ-ნიუსს ლაშა ძიძავამ.

გარკვეული მოსაზრებების გამო, „ქართუს" მონაწილეობა არ მიუღია ნულოვან აუქციონში. სამაგიეროდ, აქტიურად მონაწილეობდა პირველადი პრივატიზაციის პროცესებში. სიურპრიზებს კი „ქართუსაგან" მართლაც უამრავს უნდა ველოდოთ.

გენერალური დირექტორის ლაშა ძიძავას თქმით, კონცერნ „ქართუს" ჯერ კიდევ ხმამაღლა გაუცხადებელ აქტივებში 30 მსხვილი საწარმოს აქციათა პაკეტებია, საიდანაც 40 პროცენტი საკონტროლოა. „საინვესტიციო ფონდები რომ შეკრიბოთ, ამ ოდენობის პაკეტი მაინც არ ექნებათ", - უთხრა პრაიმ-ნიუსს კონცერნ „ქართუს" გენერალურმა დირექტორმა ლაშა ძიძავამ.

**ანა ერისთავი,**
პრაიმ-ნიუსი

# თქვენ არ გინდათ ასეთი სახლი?

ფინანსთა მინისტრმა, მიხეილ ჭკუასელმა, ბათუმში არსებული სააქციო საზოგადოება „აღორძინება"-მ (მ-მშენებელი) მოინახულა, რომელიც მეორე წელია ფუნქციონირებს და გერმანიიდან ჩამოტანილი ნედლეულით - როპორით - ამზადებს პენოპლასტის საშენ მასალას.

სააქციო საზოგადოების წარმომადგენლის თქმით, პენოპლასტის კედელი, თავისი სისქისა და თავისებური შედგენილობის წყალობით, საშუალებას იძლევა აშენდეს იდეალურად თბოიზოლირებული, ჰიდროიზოლირებული, ჰერმეტული შენობა, ამასთან მშენებლობა საკმაოდ სწრაფად მთავრდება. ორსართულიანი სახლი მომხმარებელს ორთვენახევარში ჩაბარდება. ამას გარდა, აგურით ნაშენ სახლთან შედარებით, ასეთი მასალის გამოყენება 20-25%-ით აიაფებს ნაგებობას. მისი მდგომარეობა გათვლილია 9 ბალიან მიწისძვრაზე, პენოპლასტით აშენებული გარემონტებული სახლის ერთი კვადრატული მეტრი 350, ხოლო გაურემონტებელი 120-130 აშშ დოლარი ჯდება, რაც აგურის და რკინა-ბეტონის კონსტრუქციის სახლის ფასთან შედარებით 50%-ით ნაკლებია.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, იმის გამო, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი დაბალია, წელიწადში საქონელბრუნვა 1 მილიონ ლარს არ აღემატება, საწარმოს კი, მთელი დატვირთვით თუ იმუშავებს, პროდუქციით მთელი ამიერკავკასიის დაკმაყოფილება შეუძლია.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ერთი ტონა როპორით სამი ორსართულიანი სახლი შენდება. ამის გაგონებაზე მიხეილ ჭკუასელმა ხუმრობით იკითხა:

- თქვენ გინდათ, რომ ქართველმა კაცმა, მისი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ასეთი სახლი იყიდოს? (გეა)

# სიგარეტის ფასი გაიზარდა

რამდენიმე დღეში, პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე საქართველოში შემოტანილ სიგარეტზე ფიქსირებული გადასახადი შემოდის.

საბაჟო უწყების ხელმძღვანელის, თენგიზ აბულაძის თქმით, ამან უკვე იმოქმედა ბაზარზე. კერძოდ, სიგარეტის ფასი გაიზარდა. მანვე აღნიშნა, რომ გადასახადის დროებითი წესი, რომელიც აქამდე მუშაობდა, უნდა შეგვენარჩუნებინა, რასაც გადასახადის თანდათანობით ზრდა უნდა მოჰყოლოდა. „სანამ მუშაობდა გადასახადის დროებითი წესი, მიუხედავად იმისა, რომ იყო მიზერული შემოსავლები, ბოლო დროს შემოსავლების ზრდა შეიმჩნეოდა. მას შემდეგ, რაც განისაზღვრა ფიქსირებული გადასახადი, შემოსავლებმა კვლავ კლება დაიწყო" - აღნიშნა თენგიზ აბულაძემ. (გეა)

## თქვენს პირს შაქარი, ბატონებო

„სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირს დაუახლოვდეს“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის შენობაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯიმ კაზინსმა.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაცია საქართველოში 24 სექტემბრიდან იმყოფება.

„საქართველო მზად არის დიდ ევროპულ სახლში გასაწევრიანებლად“, – აღნიშნა კაზინსმა.

როგორც მან ჟურნალისტებს აცნობა, „საქართველოში ბრიტანელი პარლამენტარების ვიზიტის მიზანია – შეისწავლონ საქართველოს პარლამენტის მუშაობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში“.

კაზინსის თქმით, „დელეგაცია შეხვდა პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების მთელ სპექტრს“ – და დასძინა, რომ „ეს პარტიები მშვიდობიანი გზით წყვეტენ მათ წინაშე მდგარ აბსოლუტურად ყველა პრობლემას“.

პრეს-კონფერენციაზე ბრიტანეთის პარლამენტის კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა იენ ბრუსმა აღნიშნა, რომ „სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დელეგაციის წევრები აპირებენ შექმნან ბრიტანეთის პარლამენტთან არსებული ჯგუფი, რომელიც იმუშავებს მხოლოდ ორი ქვეყნის პარლამენტების დაახლოებაზე“.

ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაციის წევრის, რობერტ უოლტერის თქმით, „საქართველოში, რომელიც ერთ-ერთი პირველია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, გაჩნდა მყარი ეროვნული ვალუტა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველო ისწრაფვის ევროკავშირში გაერთიანებისაკენ. თუ ეს მოხდა, საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო განვითარდება“. (პრაიმ-ნიუსი)

## ყველაფერი კეთდება, რათა ქვეყნის იმიჯი შეილახოს

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, გაჭედილი სპირტის მოუხედავად, შავი ზღვისპირა ქალაქებში მოქმედ რუს მესაზღვრეებს დღემდე არ აუკრძალავთ საქართველოში სპირტის შემოტანა.

გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თენგიზ აბულაძემ, აღნიშნა, რომ საქონელს მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს კონტრაბანდული, როდესაც შემოსატანი საქონელი და დოკუმენტაცია ერთმანეთს არ ედრება. ამიტომ მას ყველა ტვირთის შემოწმების საშუალება არ აქვს. აბულაძე იმასაც არ გამორიცხავს, რომ სპირტში, გარკვეული რაოდენობით, მართლაც შეიძლება იყოს კონტრაბანდა. და თუ რუსეთის მხარესაც გაუჩნდა ეჭვი, მაშინ უნდა შეატყობინოს ქართულ მხარეს, რომელიც გადაამოწმებს ტვირთს. „რუსეთმა საპროტესტო ნოტა იმ შემთხვევაში უნდა გამოგვიგზავნოს, თუ სატრანზიტო ტვირთს დავაკავებთ გადამოწმების მიზნით. ჩემი აზრით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, იმიჯი შეილახოს“ – განაცხადა თენგიზ აბულაძემ. (გეა)

# ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, მაგრამ მოსამართლის კარიერა დააბნელა

ამ დღეებში ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას სენსაციური ცნობა – მთაწმინდის რაიონის მოსამართლე ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააპატიმრესო... მიზეზ-შედეგობრივი ანალიზისა თუ უბრალოდ ჭორებზე დაყრდნობილი ამ ფაქტის ამსახველი მასალა თითქმის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა. ითქვა ყველაფერი: ტყუილიცა და მართალიც, მაგრამ მთავარი მაინც, ვფიქრობთ, უთქმელი დარჩა.

მექრთამეობა ქვეყანაზე მანამდე იქნება, სანამ ქრთამის მიმცემი იქნებაო, ნათქვამია და ძნელია ამ აზრს არ დაეთანხმო. თუმცა კი ყველაფერი მთლად ამის ბრალი არ უნდა იყოს. უნებურად მახსენდება 70-იან წლებში გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ში წაკითხული ერთი მექრთამეობის ისტორია. გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი წერდა, რომ ინგლისის ერთ-ერთი სოლიდური ფირმის საკმაოდ მაღალი რანგის მუშაკი ქრთამის აღებაში ამხილესო. ბუნებრივია, ფირმის ხელმძღვანელობა ამ ფაქტით დაინტერესებულა და სპეციალური კომისია შეუქმნია – დაედგინათ მიზეზი, თუ რამ აიძულა ეს მუშაკი ქრთამი აეღო. კომისიას თავის მხრივ შეუსწავლია არსებული გარემოება და ფირმის ხელმძღვანელობისთვის წარუდგენია დასკვნა, სადაც აფიქსირებდნენ, რომ ამ მუშაკს კმაყოფაზე ლია იმაზე მეტი ადამიანი, რამდენის შენახვის საშუალებას მისი ოფიციალური ხელფასი იძლეოდა. ფირმის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მუშაკის მაღალი



პროფესიული დონე და ის არათუ გაანთავისუფლა თანამდებობიდან, პირიქით, შემოსავალი 25%-ით გაუზარდა კიდეც.

ჩვენ გვესმის, რომ მექრთამეობის, როგორც საზოგადოებისათვის მავნე მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეთოდი ჩვენთვის გამოუყენებელია, გამოუყენებელია იმიტომ, რომ არ არსებობს ჩინოვნიკი, დიდიდან დაწყებული პატარამდე, ხელფასი თავისი ოჯახის თუნდაც ერთი კვირით გამოსაკვებად (სხვა ხარჯებს რომ თავი დავანებოთ) რომ ყოფნიდეს. სწორედ ამიტომ მექრთამეობა საკმაოდ ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული. იღებს თითქმის ყველა, ვისაც კი ამის საშუალება აქვს, დანარჩენები კი ამ „საშუალების“ ხელში ჩაგდების შანსს ელოდებიან.

ეს ისე, ზოგადად. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, მოსამართლის ქრთამის აღების ფაქტზე მხილებას უფრო ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს. ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო სისტემის რეფორმა მოსამართლის როლსა და ფუნქციას მნიშვნელოვნად ცვლის, ცვლის ამ უკანასკნელის ძალაუფლების სასარგებლოდ. ძალაუფლებასთან ერთად, მოგეხსენებათ, იზრდება მოსამართლე-ადვოკატს შორის გარიგების შესაძლებლობა. სხვანაირად ძნელია ახსნა ის ფაქტი, რომ აშკარა დანაშაულში მხილებულ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის ფორმის შეცვლის შესახებ ადვოკატთა მიერ შეტანილი სარჩელი, ამ ბოლო დროს, როგორც წესი, ამ უკანასკნელთა გამარჯვებით თავდება. ანუ ადვოკატები შუამავლად გვევლინებიან მოსამართლესა და განსასჯელს შორის ფულის აღებ-მიცემობაში. ჩვენ არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ ადვოკატების პროფესიონალიზმში, მაგრამ ყველაფერს აქვს ალბათ ზღვარი. აქვს და, ვისაც ხელეწიფება, გულხელდაკრეფილი, როგორც ჩანს, არც ისინი სხედან: მოსამართლე ლომიძის დაკავების ფაქტი ისე საგულდაგულოდ მომზადებული ჩანს, ამნაირი ეჭვის საბაბს ნამდვილად იძლევა. ლომიძის გულშემატკივართა სანუგეშოდ ბევრის ვერაფრის მთქმელია, მაგრამ საკითხავი კი ნამდვილად არის: – რადა მაინცდამაინც მას „გაუტყდა კოკა წყალში?“

როგორც ჩანს, მოსამართლეთა ზედმეტ თავდაჯერებულობას ფრთები უნდა შეკვეცოდა და ვიღაც შესწირვოდა. თუ ეს ერთჯერადი აქტია, მაშინ ლომიძე ნამდვილად მსხვერპლი გახლავთ, ხოლო თუ სერიოზული კამპანიის დასაწყისი, მაშინ პირველი ბრალდებული მომავალ ბრალდებულთა შორის, თუმცა, სავარაუდოა, პირველ ვარიანტთან გვქონდეს საქმე.

**დ. ბარამია**

# შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ, უკაცრავად, იცვლება!

*უჭირს* ქვეყანას. ერსაც და ბერსაც. უჭირს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა *აბსოლუტურ უმრავლესობას*. ისინი სხვებივით თვეობით ვერ იღებენ კუთვნილ ხელფასს. გამოდის ქალაქის ქუჩებში თუ რესპუბლიკის ტრასებზე თავად მშიერი და ოჯახში მშივრებდაგულებული საგზაო პოლიციელი და მერე როგორ გინდა მოსთხოვო მას, თუნდაც, ელემენტარული ზომიერება. ასეთ სიტუაციაში საგზაო პოლიციელის უბადრუკ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ საგზაო მოძრაობის მონაწილეთა (მძღოლთა) უმრავლესობა ათასნაირ საბუთებს დაატარებს, მათ არარიგითობას რომ ადასტურებს. პოლიციელი ხშირად ვერც ერკვევა, ვინ არის და რას წარმოადგენს რაღაც მისთვის უცხო დოკუმენტის წარმომდგენი, მაგრამ, რომ იტყვიან, – სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ჯობია, თავი დაანებოს და უფრო შესაფერის „მსხვერპლს“ დაელოდოს. შესაშურია ასეთ დღეში ჩავარდნილ პოლიციელთა გამოქომაგების ის ხერხი, საგზაო პოლიციის ერთ-ერთმა შეფმა რომ გამოიგონა. მას ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე პირდაპირ განუცხადებია: აბა, სამი და ოთხი თვე ხელფასები რომ არ აულიათ ბიჭებს, *ჯიბის ფულის შოვნა როგორ დაეუშალოო*. შეფისგან წაქეზებულებს მაინც დიდი წინააღმდეგობები ხვდებათ წინ ამ „ჯიბის ფულის შოვნის“ გზაზე. კიდევ უფრო უარეს დღეში რაიონების პოლიციელები არიან. ვის გინდა გამოართვა ფული, აქ ყველა ყველას იცნობს, ყველა ვიღაცის ნათესავი და ახლობელია. „მისასალმებელი“ ინიციატივა გამოიჩინეს ამ მხრივ სამეგრელოს რეგიონის სამხარეო პოლიციის მუშაკებმა. მათ პრობლემა, რომ იტყვიან, ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტეს. ზუგდიდელ პოლიციელებს უშვებენ „ჯიბის ფულის საშოვნელად“ სენაკში, სენაკელს – ზუგდიდში, მარტვილელს – აბაშაში, აბაშელს – მარტვილში, და ასე შემდეგ. შედეგის არითმეტიკული მხარე ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ურიგო არ უნდა იყოს, რადგან ექსპერიმენტი წარმატებით გრძელდება.

ტყუილა ჰგონია ვიღაცას – ქართველები ამ გაჭირვებული ყოფიდან ვერ ამოვალთო; ჩვენს გამჭრიახობას, ნოვატორობას, სიახლისადმი ლტოლვას ზღვარი ნამდვილად არა აქვს.

**მ. ლვინიაშვილი**



## ლუიზა შაკიაშვილი: ეს თუ მოხდა...

როგორც გეა-ს კორესპონდენტს ლუიზა შაკიაშვილმა განუცხადა, 27 სექტემბერს, გლოვისა და ცრემლების ნაცვლად, ვაკის პარკში შეკრებილი საზოგადოება ზეიმით შეხვდა და ასპარეზი დაუთმო იმ ხელისუფლებას, რომლის უნიათო და უპოზიციო პოლიტიკამ თავისი ორგანული ნაწილი ჩამოაცილა საქართველოს. „აფხაზეთის დაკარგვით საქართველო ძუძუმოჭრილ ამორძალს დაემსგავსა“ – აცხადებს ლუიზა შაკიაშვილი და ფიქრობს, რომ ჯვართამაღლების დღე, 27 სექტემბერი სწორედ იმიტომ ჩაიწერა ისტორიაში სოხუმის დაცემის დღედ, რომ ქართველი ერი განგებამ ურთიერთდაპირისპირებისა და ძმათა სისხლის ღვრის გამო დასაჯა.

შაკიაშვილის აზრით, რეალური გზა, რომლითაც აფხაზეთი შეიძლება დაბრუნდეს, სამხედრო თავდაცვითი სტრუქტურების გაძლიერება და ძალისმიერი მეთოდია, „რადგან ისტორიას არ ახსოვს, ძალით წართმეული ტერიტორია მშვიდობიანი გზით დაბრუნებულიყოს“.

„საოპტიმისტო არაფერი გვჭირს, სულ მალე აფხაზეთში ქართველებისათვის ადგილი აღარ დარჩება, რადგან აფხაზეთის მმართველობამ უკვე მიმართვაც კი გააკეთა თურქეთში მცხოვრები ძირძველი აფხაზებისადმი – ჩასახლდნენ ქართველთა მიტოვებულ მიწა-წყალზე. ეს თუ მოხდა, იურიდიულადაც გაფორმდება აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ – თვლის ლუიზა შაკიაშვილი. (გეა)

## მარადიული პოლემიკა თელასსა და საქენერგოს შორის

„დღევანდელი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, თუ „საქენერგო“ დღე-ღამეში მოგვაწვდის 5 მილიონ 200 ათას კვტ/სთ ელექტროენერგიას, „თელასი“ შეძლებს თბილისის უზრუნველყოფას 6-საათიანი გრაფიკით“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს მუნიციპალური საწარმო „თელასის“ მთავარმა ინჟინერმა ბეჟან ხუციშვილმა.

მისი თქმით, „საქენერგო“ „თელასს“ 24 საათის განმავლობაში მხოლოდ 4 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგიის დახარჯვის უფლებას აძლევს.

„ლიმიტი გამომდინარეობს იმ რესურსებიდან, რომელსაც საქენერგო ფლობს. ეს ლიმიტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ „თელასმა“ დაიცვას გრაფიკი, რადგან ზამთრის მოახლოების გამო, გაიზარდა მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე“, – აღნიშნა ხუციშვილმა.

მისი თქმით, სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების გაუმხოლოებლობის მიზეზით, შეუძლებელია იმავე ფიდერზე ჩართული უბნების გათიშვა. ამიტომ, საქენერგოს მიერ დაწესებული ლიმიტის დასაცავად, იძულებულნი ხდებიან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მონაცვლეობით შეუწყვიტონ ელექტროენერგიის მიწოდება.

როგორც ხუციშვილმა თქვა, „დაწესებული შეზღუდვის გადახარჯვის შემთხვევაში „საქენერგო“ თავად თიშავს ცალკეულ ქვესადგურებს. იმისათვის, რომ „თელასმა“ დაიცვას დადგენილი ლიმიტი და, ამავე დროს, თბილისს გრაფიკით მიაწოდოს ელექტროენერგია, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებიც უნდა შეიზღუდოს, რაც დიდ ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს“.

აგვისტოს თვის მონაცემებით, „საქენერგომ“ „თელასს“ მიაწოდა სულ 110 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რომლის ღირებულებაც 2 მილიონ 900 ათას ლარს შეადგენს, – თქვა ხუციშვილმა, – აქედან, „თელასმა“ დაფარა 1 მილიონ 838 ათასი ლარი, რაც „საქენერგოს“ მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების 62 პროცენტს შეადგენს დაფარული თანხის, დაახლოებით. 645 ათასი ლარი ამოღებული იქნა მოსახლეობიდან, ხოლო დანარჩენი კი საწარმოებიდან“. (პრაიმ-ნიუსი)

# მიუნჰაუზენი აფხაზეთში,

## ანუ როგორ გვიმახინჯებენ ისტორიას

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მიუნჰაუზენი ერთი ხანობა მართლაც ცხოვრობდა აფხაზეთში. სახუმაროდ არა გვაქვს საქმე და, ცხადია, არც ვხუმრობ, რადგან ეს ის დაუდეგარი ბარონი მიუნჰაუზენი არ გეგონოთ, რომელიც თავისი მოგონილი საოცარი თავგადასავლებითაა ჩვენთვის პატარობიდან ცნობილი, ისტორიული პიროვნება გახლავთ – რუსეთის სამსახურში მყოფი დანიელი პორუჩიკი ფონ-მიუნჰაუზენი. მას აფხაზეთში, სადღაც ბიჭვინთის ტაძრის მიდამოებში შეხვედრია 1843 წელს აქ ჩამოსული მისი თანამემამულე, დანიელი დესპანი ავგუსტ ჰაკსჰაუზენი (1792-1866), რომელიც სომეხთა იმჟამინდელი კათალიკოსის ნერსესის კეთილგანწყობითა და მფარველობით სარგებლობდა თურმე. მისივე შემწეობით გამოუცია ამიერკავკასიაში თავისი მოგზაურობის აღწერილობა (А.Гаксгаузен, Закавказский край, ч.I, СПБ. 1857).

ჰაკსჰაუზენი წერს, რომ ბიჭვინთის ტაძრის მახლობლად, მისი ჩრდილოეთით, მთებში არისო სომხური ეკლესია და მომცრო მონასტერი, „რომელშიც ხშირად მიდიან აფხაზები თაყვანისაცემად. ამბობენ აგრეთვე, რომ აქ არისო ბიბლიოთეკა. მე შევხვდი ჩემს თანამემამულეს მიონდენის მიდამოებიდან, ბატონ ფონ-მიუნჰაუზენს. ის აქ მდგარ ციხიონში პორუჩიკად მსახურობდა“ (იქვე, გვ. 7).

როგორც ჩანს, ფონ-მიუნჰაუზენისაგან, რომელიც ციებით ყოფილა ავად და უკანგზობისას ჰაკსჰაუზენს გარდაცვლილი დახვედრია, მისი მოგვარე ლიტერატურული გმირის ავადმყოფობა – მუცლითმეზღაპრეობა გადასდებია და არა ციება, რადგან სომხური ეკლესია და მონასტერი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ მთებში და ისიც XIX საუკუნის შუა ხანებში, როცა, მართალია, აფხაზეთი უკვე რუსეთის საბრძანებელი იყო, მაგრამ ნიადაგ ხმალშემართული და თვით ერთმანეთის შორისაც მუდმივ მტრობაში მცხოვრები აფსუების ავაზაკურ თავდასხმების შიშით, ცხუმის და ბომბორის რუსულ ციხიონებსაც მშვიდად არ ეძინათ, მხოლოდ მონაგონი შეიძლება იყოს და შესაბამისად, დაუჯერებელიც. ასეთი რამის დაჯერება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ძალიან უნდა, რომ აფხაზეთში, თუნდაც XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, მაგრამ მაინც, სომხური დასახლების არსებობა ამტკიცოს. ასეთები კი ცოტანი აღარ არიან და არად დაგიდევენ იმას, რომ არცერთ სხვა წყაროში მინიშნებაც არ არის და არც შეიძლება იყოს ამაზე. არადა, ჰაკსჰაუზენის ეს წიგნი იმჟამად გერმანულ და ინგლისურ ენებზეც გამოიცა და ძირძველი ქართული მიწის – აფხაზეთის ჩრდილოეთის საზღვართან არსებული რომელიღაც ქართული ეკლესიის სომხურობის შესახებ ამ წიგნში მოცემულ ზღაპარს ბევრი მაშინდელი მკითხველიც დაიჯერებდა და ბევრმა დღევანდელმა საქმეში ჩაუხედავმაც შეიძლება სიმართლედ მიიღოს.

გაწეული სამსახურისათვის (ანუ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან სომხური ეკლესიის არსებობის შესახებ შეთხზული სიცრუისათვის) სომეხთა კათალიკოსმა მადლობა (და, ცხადია, არამარტო მადლობა) გადაუხადა ჰაკსჰაუზენს.

აი, რას წერდა მას ნერსეს კათალიკოსი 1844 წლის 27 იანვრის ეპისტოლეში:

„Должен я сперва пожелат тебе мир и благоволение, потом выразит мою вомчайшую благодарность за прекрасные и верные известия, которые ты сообшил о Кавказских провинциях и их обитателях, а также и об Армянском народе“.

აი, ასეთი უწყინარი (ერთი შეხედვით უწყინარი) სამსახური გაუწევია თავის კეთილისმყოფელ სომეხთა კათალიკოსს, როგორც ჩანს, მისი უწმინდესობის თხოვნით, დანიელმა დესპანმა.

აი, ასე ითითხნებოდა ჩვენს მიწა-წყალზე თვალებდადგმულ მავანთა და მავანთა მიერ ყალბი „საისტორიო წყაროები“, რომელთა მეშვეობითაც არა მარტო ჩვენი ისტორიის (ანუ ეროვნული მეხსიერების) ან მისი ნაწილის მოპარვას, არამედ მათ მიერვე შეთხზულ ამგვარ სიცრუეებზე დაყრდნობით ჩვენი მამულის ცალკეული ნაწილების მიტაცების გამართლებასაც ცდილობდნენ და ცდილობენ დღესაც.

**აბესალომ ბუღეში**

# ილია – 160

## წარსული აწმყოში



ჩვენი, ქართველების,. ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის, კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიტანოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგარია ეს ხასიათი, თითქო ათასფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის მხრით ჩვენ მართლა ხელგაშლილი, გულახდილი, გულწრფელი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუკი რაიმე გრძნობამ გვძლია და გაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით, რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს ჩვენს გატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის გატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობის მორჩილებით ვნებდებით მისს მომხიბლავ ძალას... ამ შემთხვევაში ჩვენი გული სწორედ რომ შინაური ზღვაა, რომელიც ვნებათღელვისა გამო ხშირად სუნთქავს... და, თუმცა ზოგჯერ კიდეც სცდილობს მოიპოვოს როგორმე სანატრელი მყუდროება, მაგრამ მაინც, ძალაუნებურად ნებდება დაუცხრომელ ტალღათა სრბოლას...

ერთის მხრივ ესეა, მეორეს მხრივ... ზოგიერთის გრძნობა გარეშე მეთვალყურესათვის წარმოადგენს პაწია მღვრიე და ხავსით მოსილს ტბას, რომლის ადიდება და აგორვება ისე შეუძლებელია, როგორც უბრალო თვალთაგან უხილავის კბილის ჭიის ვეშაპად გარდაქმნა. რაც გინდა მრისხანე ცხოვრების გრიგალი დაჰქროდეს ამ ტბას, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ თავის ბინაზედ და არ ექვემდებარებიან მოძრაობის ქარ-ტეხილსა... ამ შემთხვევაში ზოგიერთი ჩვენგანი – მცხედარს ჰგავს, სულგანაბულად მდებარეს, რომელსაც თითქო არც კი ეხება ის, რაც ხდება საერთო ცხოვრების არე-მარეზე...

ამ-გვარი სამარეებური უგრძნობლობა, – თავს იჩენს ხოლმე ჩვენში ყოველთვის, როცა საქმე შეეხება არა უთავბოლო ფულის ფლანგვას, სმას და ქეიფს, არამედ „იმ-თავმომაბეზრებელს“ საგანს, რომელსაც საზოგადო საქმეს ეძახიან.

# სამგლოვიარო მიტინგზე ნადარეიშვილმა ხალხს აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნებისკენ მოუწოდა



„საქართველოს დღეს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი ძალებით აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა და მე ამ ძალისმიერი გზის მომხრე ვარ“, – თქვა ვაკის პარკში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა.

აფხაზეთიდან 1993 წლის 27 აგვისტოს ქართული შეიარაღებული ძალებისა და ქართული მოსახლეობის იძულებით გამოსვლიდან 4 წლისთავისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს, დაახლოებით, 3 ათასი ადამიანი ესწრებოდა, რომელთა ძირითად ნაწილს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შეადგენდა.

მიტინგზე შეკრებილთ სიტყვით მიმართა საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერმა გიორგი ბარამიძემ. მან აფხაზეთიდან დევნილებს დროებით დევნილები უწოდა და თქვა, რომ ქართველი ხალხის შეცდომა ერთმანეთის ღალატი იყო.

„აფხაზეთს მხოლოდ ქართველი ხალხის გაერთიანებით დავიბრუნებთ“, – დასძინა გიორგი ბარამიძემ, რომელმაც 27 სექტემბერს ერთობის დღე უწოდა. (პრაიმ-ნიუსი)

# სომხეთი – რუსეთის სანდო პლაცდარმი...

## სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის პრესკონფერენცია ერევანში

სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა, ჟურნალისტთა ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, პირდაპირ შეკითხვებზე გადასვლა ურჩია ასზე მეტ ჟურნალისტს, რომლებიც მის პრესკონფერენციას დაესწრნენ 26 სექტემბერს, რადგან კითხვები ინტერნეტის ქსელის საშუალებითაც ისმებოდა.

*– ბოლო დროს ექსპერტები აღარ მსჯელობენ აზერბაიჯანის ნავთობის სომხეთის ტერიტორიაზე გატარების შესახებ, რაც ყარაბაღის მოუგვარებელი პრობლემით აიხსნება. თქვენი აზრით, რა შეიძლება ამით მოიგოს, ან წააგოს სომხეთმა, რომელსაც აღარ განიხილავენ, როგორც სატრანზიტო ქვეყანას.*

– ჯერ ერთი, მე არ ვეთანხმები თქვენს აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტები და ნავთობკომპანიები არ განიხილავენ სომხეთს, როგორც ნავთობსადენის გაყვანის ერთ-ერთი გზას.

საკითხი სხვაგვარად ისმება: დღეს საუბარია ადრეულ ნავთობზე, ბუნებრივია, მან უკვე არსებული ნავთობსადენები უნდა გაიაროს. ესენია ბაქო-ნოვოროსიისკი და ბაქო-ბათუმი. რაც შეეხება ძირითად ნავთობსადენს, ეს საკითხი არათუ გადაწყვეტილი, არამედ მისი განხილვა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ექვსი თვის შემდეგ დაიწყოს. ყარაბაღის პრობლემა ამ სფეროში წინააღმდეგობებს ქმნის – ეს არაა საიდუმლო. ყველასათვის სასურველი იქნებოდა ამ საკითხის მოგვარება და ნავთობსადენის სომხეთის ტერიტორიაზე გატარება, რომელიც უმოკლესი გზაა ბაქოდან ჯეიჰანამდე. ჩვენ თავის დროზე წამოვაყენეთ წინადადება ამ ორი საკითხის ცალ-ცალკე განხილვის შესახებ. შეიძლებოდა, საერთოდ არ გაევლო ნავთობსადენს სომხეთის მიმართულებით, ანუ კონფლიქტის ზონაში, რაც შეეხება კონფლიქტის ზონის გვერდის ავლით ჩრდილოეთის მარშრუტს, ეს შეტანილია ექსპერტთა პაკეტებში. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საკ–

გაგრძელება მე-7 გვ.

# ზუგდიდში მიტინგის მონაწილეებს პარლამენტარმა „მოღალატეები“ უწოდა

ზუგდიდში, დადიანების კარის ეკლესიის წინ, 27 სექტემბერს შეკრებილმა 100-მდე ადამიანმა, რომლებიც იქ აფხაზეთში დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად მივიდნენ, მიტინგის ჩატარება გადაწყვიტა.

მიტინგის ინიციატორმა, პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ წევრმა ჯემალ გამახარიამ შეკრებილთ შეახსენა, რომ მათ კონსტიტუციით აქვთ მიტინგის ჩატარების უფლება და ადამიანის უფლებები არ უნდა შეილახოს.

მიუხედავად გამახარიას ზემოხსენებული ფრაზისა, „მოქალაქეთა კავშირის“ სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრმა ბეჟან გუნავამ შეკრებილებს „მოღალატეები“ უწოდა.

„თქვენს გამო დაიკარგა აფხაზეთი. ომის დროს თბილისის ასაღებად მიდიოდით, ახლა კი გინდათ ზუგდიდი აიოთ, მაგრამ ამის უფლებას არ მოგცემთ. მე პოლიცია არ მჭირდება, თვითონ დაგშლით“ – დაემუქრა გუნავა შეკრებილებს, რომელმაც, როგორც ჩანს, წინასწარ განსაზღვრა, რომ მიტინგი „ზუგდიდის ასარევად“ იყო გამიზნული.

„ეს არის დღევანდელი ხელისუფლების უზნეო სახე“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს ჯემალ გამახარიამ, გუნავას საქციელის კომენტირებისას.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციელთა კონცენტრირება შეიმჩნეოდა, თუმცა, 15.00 საათისათვის დარბევა ან შეტაკება არ მომხდარა. (პრაიმ-ნიუსი)

# პასუხს არავინ აგებს

„არცერთი კანონმდებლობით საბაჟო უწყება პასუხს არ აგებს საქართველოში უხარისხო და ვადაგასული პროდუქციის შემოტანაზე. ეს უშუალოდ საკარანტინო უწყებებს ეხება“ – აღნიშნა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თენგიზ აბულაძემ.

მისი თქმით, საბაჟო სამსახურის მოვალეობაში ქვეყანაში შემოსატანი საქონლის კანონიერების დადგენა შედის, კერძოდ, ეკუთვნის თუ არა ტვირთს ქვეყნის სივრცეში შესვლა. „რისთვის იკლავენ თავს საკარანტინო უწყებები, წარმოდგენილი იყონ საბაჟოზე, თუ არ შეასრულებენ საკუთარ მოვალეობას? ფაქტია, რომ საქართველოს ბაზარი გაივსო უხარისხო საქონლით, რაზეც პასუხს არავინ აგებს. ჩვენ არ ვიცილებთ საკუთარი თავიდან პასუხისმგებლობას, მაგრამ ვალდებულები არა ვართ შევასრულოთ ეს“ – აღნიშნა თენგიზ აბულაძემ. (გეა)

# სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი „სამანიშვილის დედინაცვალი“

ნოდარ გრიგალაშვილი

## ტრაგიკომიკური „სამანიშვილის დედინაცვალში“

„სამანიშვილის დედინაცვალის“ მთავარი პერსონაჟის, პლატონის აფორიაქებული სულის მოძრაობას ისე აღწერს მწერალი, რომ თუ ამ ციტატებს ცალკე ამოვწერთ და გვერდიგვერდ დავალაგებთ, წარმოგვიდგება კაცი, რომელიც თავისი უსაშველო კაეშნით ლამის ოიდიპოსისა და ჰამლეტის ტრაგიზმს აჭარბებს...

„გამწარებული ყმაწვილი კაცის გულში ცეცხლი ტრიალებდა, მისი ტვინი წისქვილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა“...

მერედა რისთვის? თუმცა ჯერ მისი აწეწილი სულის უფრო სრულყოფილი სურათი წარმოვიდგინოთ.

პლატონი „ცხადად ხედავს თავისი უბედურების მომასწავებელ ნიშანს და ამ მოულოდნელ უბედურების წინ წამდგარს, ენაც ერთმევა, გონებაც ეკარგება, სისხლიც უშრება...“

უბედურების შეგრძნებას სულით-ხორცამდე ისე მოუცავს მისი არსება, რომ სიზმარშიც არ სტოვებს საშინელი განცდები.

არ ესმის თავის ხმა პლატონს, თუმცა ყვირის, რაც ღონე აქვს. ხმა პირიდან არ ამოსდის. იქვე, გულში რჩება უღონო, სუსტი, გაუგონარი, და ეს უმატებს გამწარებას, უფრო უკლავს გულს, უხუთავს სულს, უმწვერვალესად აღელვებული კაცის თვალწინ ყოველივე აირია, აიშალა, ამოძრავდა: აცახცახებული, ათრთოლებული ძლივს დგას ფეხზე. ეს რაღა ამბავია?! რა არის ეს?! რა ამბავი ხდება დღეს ამ სახლში, ვინ შვრება ამას?“

რისთვის-მეთქი, ეს ყველაფერი, რა უბედურება დასტყდომია თავს ასეთი პლატონ სამანიშვილს?

მომხდური მიეჭრა და ოჯახის ნამუსი შეუგინა? – არა.

გადაწვეს, გადაბუგეს თუ თავად ხდიან ტანჯვა-წამებაში სულს? – არც ერთი ყოფილა, არც მეორე და არც მესამე.

იქნებ მსოფლიო და კაცობრიული სევდა აწუხებს და ვეღარ პოულობს ვერსად ადგილს? – გაგიგონიათ?!

მაშ რა უხუთავს სულს, რას გაუმწარებია და აუღელვებია ასე „უმწვერვალესად?“

იქნებ ქალი „შეიჭრა“ მის ცხოვრებაში და უიმედოდ შეყვარებულს სიცოცხლე სატანჯველად ექცა?

იქნებ სიკვდილმა წაჰგვარა ოჯახის მამას პატარა და ზვავივით მიასკდა უბედურება მის დაწყევლილ ყოფას? – არა.

არადა, უმიზეზოდაც არ არის გადარეული ეს ჩვენი პლატონი. საფუძველი კი ის გახლავთ, რომ ღმერთმა მის დედინაცვალს შვილი, ხოლო თავად პლატონს ძმა უნდა აჩუქოს (?)

კი არ წაჰგვარა ოჯახს პატარა, არამედ მოუვლინა ახალი სიცოცხლე. ეს ბედნიერება კი პლატონის უბედურების პირობაა, ვინაიდან იგი ახლადმოვლენილ არსებაში ადგილის მოწილეს ხედავს მზისქვეშეთში.

ახლა კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ ზემოთმოხმობილი ციტატების მიხედვით, რა დღეშია პლატონ სამანიშვილი, რა უმწვერვალესია მისი ტანჯვა და ამ ტანჯვის მიზეზზეც რომ დავფიქრდებით, გამოიკვეთება სურათი ტრაგიკომედიისა. სწორედაც შეგეცოდებოდათ პლატონი, თვით ამბავი სასაცილო რომ არ ყოფილიყო-იტყვის ავტორი.

ერთი სიტყვით, ამ სიუჟეტით ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. ის, რაც ჩვეულებისამებრ ბედნიერებაა, პლატონისთვის უბედურება გახლავთ.

ის, რაც ჩვეულებისამებრ უბედურებად ითვლება, პლატონი და მის დღეში მყოფი, მისი ალი-კვალი მეზობლები, ბედნიერებად თვლიან, მაგალითად, ხალხის შემცირებას, გამეჩხერებას, გნებავთ სათანადო დოზით გაწყვეტას...

ვინ არიან ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი არსებანი? იკითხავთ თქვენ და პარადოქსი ის არის, რომ სინამდვილეში არც კაცთმოძულენი გახლავან და არც ჭკუაზედ აფრაკად მყოფნი (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ერთი შეხედვით, დავითი თითქოს საგანგებოდ ეძებს კომიკურ სიტუაციებს, რათა თავის პერსონაჟთა აუტანელი ყოფა საკითხავად ასატანი გახადოს მკითხველისათვის, მაგრამ ეს სიტუაციები იმდენად ბუნებრივად იბადებიან კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე, რომ ძნელია დაადგინოთ ზღვარი, სად მთავრდება ტრაგიზმი და საიდან იწყება კომიკური, სასაცილო ამა თუ იმ პერსონაჟის ქმედებისას.

ბეკინა სამანიშვილმა, ცოლის – მარიკას დაღუპვის შემდეგ ითმინა, ითმინა, მაგრამ თავიდან ვეღარ ამოიგდო ფარსაგი აზრი ახალი ცოლის თხოვისა. „არა... არ შეიძლება, რომ ეწყინოთ!.. მე რომ იმათ ვუყვარვარ!..“ – ასე ფიქრობდა ბეკინა, როცა ვაჟიშვილი პლატონი და რძალი მელანო გაახსენდებოდა ხოლმე თავის გაზრახვაზე საკუთარ თავთან მსჯელობის დროს.

მოხუცმა, როგორც იქნა, გულისნადები გაანდო შვილს, მაგრამ ნახეთ, როგორი კომიკური სიტუაცია იქმნება:

არ შეიძლება, რომ ეწყინოთო – ამ ფიქრით უფრო თავს იმშვიდებდა ბეკინა, თორემ მშვენივრად ხვდებოდა, რა სიამოვნებითაც შეხვდებოდნენ შვილი და რძალი ბერიკაცის გულისთქმის გამჟღავნებას. ხვდებოდა და ამიტომაც კაცი, მოციქული, მიუგზავნა პლატონს. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ მამა და შვილი. ახლა ის სურათი გავიაზროთ, მოხუცი მამა რომ კერიასთან ზის თავჩაღუნული, ხოლო მოციქული შვილს ბერიკაცის გულისფეთქვის ამბავს უხსნის ან გარეთ მომლოდინე, აწრიალებული ბეკინა წარმოვიდგინოთ შემდგომი მოვლენებით., ახალი ამბის მოსმენით გამწარებული შვილი რომ შუაკაცს გამოასწრებს გარეთ და აღშფოთებულ-სასოწარკვეთილი ჩასძახის მოხუცს: „მღუპავ, მამა? მღუპავ? დანას მიყრი ყელში?“

მოხდა ისე, რომ პლატონმა საკუთარი ხელით გალესა საკუთარ ყელში გამოსასმელი დანა, მის მიერ იძულებით გადადგმული ნაბიჯი მისი ტრაგიკომიკური თავგადასავლის მიზეზად იქცა.

ზემოთ ვთქვით, ტრაგიკომიკური სიტუაციები ბუნებრივად იბადებიან კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე. პლატონის მიზანი გასაგებია. სიღარიბეში ხდება სული, ცოლ-შვილს საკმარისი ლუკმა არა აქვს და თუ ბეკინას შვილი ეყოლება, თანაც ვაჟი, მაშინ მას მიწას გაუყოფენ. „ქონება“ ორად გადანაწილდება, ამიტომ რაკი ბერიკაცს განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა, რადაც უნდა დაუჯდეს, ისეთი სადედინაცვლოს პოვნაა საჭირო, გარანტირებულად უშვილძირო რომ იქნება. და ეძებს პლატონი ორნაქმარევ, უშვილო მანდილოსანს, რომელიც იმავდროულად ოჯახში შესაშვები და თანაც სახეყირმიზა თუ არა, ჯოჯოხეთის მაშხალაც არ იქნება.

პლატონის ბუნებრივი, გარემოებით ნაკარნახევი მიზანი ბუნებრივად ქმნის კომიკურ სიტუაციებს მთელი თანმხლები პერიპეტიებით.

როგორ გინდა მიადგე ამა თუ იმ ოჯახს და აუხსნა, – ორნაქმარევი, უნაყოფო ქალი ხომ არ გყავთ შინ ან ახლო-მახლო ხომ არ გეგულებათ ასეთი საპატარძლო დედაბერიო.

ხასიათებიდან გამომდინარე, ბუნებრივად შექმნილი კომიკური სიტუაციები ხომ ურიცხვია კლდიაშვილის თხზულებებში.

აზნაური სამანიშვილის ქონება, მართალია, ვირის კურტანს აეკიდება, მაგრამ კეთილშობილი სისხლი უჩქრიალებს ძარღვებში და მთელი დუნიის დასანახად როგორ იკადრებს, თავის სასახელო წინაპართა შთამომავალმა ფეხდაფეხ შემოიაროს იმერეთის მთებსა და ბორცვებზე შეფენილი სოფლები.

ითხოვა ცხენი, მაგრამ რად გინდა, საამქვეყნო ცხენს ალარაფერი ეტყობოდა და თავის გამობუსკულ თეძოებს ძლივს დაალასლასებდა. ზურგიც სულ გადატყაული ჰქონდა იმ შეჩვენებულ პირუტყვს, მაგრამ პლატონს ადვოკატი ივანე გვერდევანიძე დაემგზავრა. ცხენიც ლამის პლატონის კუდაბზიკობას შეეწირა. გადააჯდა მხედარი და პატრონ-ცხენმა მანამდე ტანჯეს ერთმანეთი, ვიდრე გვერდევანიძე არ ჩამოშორდათ გზაგასაყართან.

ის იყო არაქათგამოლეულ „ბედაურს“ შეღავათი მისცა მხედარმა, რომ მისი სიძის, კირილე მიმინაშვილის, სახლიც გამოჩნდა, საითკენაც პლატონი ეშურებოდა. რა ექნა კეთილშობილ აზნაურს, ისევ ცხენით უნდა შეჯირითებულიყო ეზოში...

მწერალი განუმეორებელ სურათს გვიხატავს თავმოყვარეობით გატანჯული კაცისა და ამ კაცით გატანჯული ცხენის ერთად „მგზავრობიდან“.

„შეღავათმიცემული ცხენი მისუსტებული, აძიგძიგებული ნაბიჯით აპოლიკდა ქვებიან ბრეკზე და რაც შეეძლო, რაც ღონე ჰქონდა შერჩენილი, მიჩანჩალებდა და ცდილობდა, უკან ჩამოეტოვებინა თავისი ჩამოქვეითებული მხედარი, რომ მტკივან ზურგზე არ შესკუპებოდა ხელახლად. რამდენსამე მანძილზე კიდევაც აუსრულდა წადილი გასაჭირში ჩავარდნილ პირუტყვს, მაგრამ ბოლოს პლატონი მაინც დაეწია, გააჩერა და მარდად მოახტა ზურგზე. ამ კაცმა თავის თავმოყვარეობის დაცვა ამჯობინა მის შებრალებას და სიძის ჭიშკრამდის ამხედრებული მივიდა“.

ძველი, არისტოკრატიული ჩვევები, რაკი ახალ დროში აზნაურთა სიძლიერეს ყავლი გასვლია, პირდაპირ ანეკდოტურ სიტუაციაში აგდებს მათ. თუმცა დაკარგულის კომპენსაციას დავითის გმირები „ახერხებენ“ და ამას ჩადიან ისეთი მეთოდით, რომლითაც მთლად სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს. მათი ცხოვრების წესისათვის ტრაბახი ქცეულა აუცილებელ ატრიბუტად.

## ესთეტიური უდარდელობა, ანუ სიბრძნე კვეხნისა და ბაქიობისა

თქვენ გახსოვთ ეს უცნაური სინტაგმა – სიბრძნე სიცრუისა. სიცრუე, რა თქმა უნდა, არანაირ კავშირში სიბრძნესთან არ გახლავთ, პირიქით, სიცრუე ბოლოს თავს იჩენს, ყოველი დაფარული ბოლოს მაინც გაცხადდების. სიცრუე ავნებს სულსაც და ხორცსაც. ეს საუკუნეებში გამოტარებული სენტენციები გახლავთ. ცხადია, სულხან-საბა ორბელიანის ამ სინტაგმაში „სიბრძნე სიცრუისა“ სიცრუე არაპირდაპირი მნიშვნელობით, ფიგურალურად გამოიყენება. სიბრძნე სიცრუის ანუ სიბრძნე გამოგონილი ამბებისაო, ანუ იგავად მითქვამს და ნათქვამში რეალური, მართალი ამბავი ამოიკითხეთო. ჩვენ კი პირდაპირი მნიშვნელობით მოვიხმეთ აღნიშნული ქვესათაური. დიახ, კლდიაშვილის გმირების კვეხნასა და ბაქიაობას, ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მათი ტრაბახის მიზეზი მათივე ხასიათი და ამპარტავნებაა, რაკი არსებულსა და შესაძლებელს შორის დიდი ზღვარია. მათ კი არსებული არ მოსწონთ და შესაძლებელი ეოცნებებათ... „იძულებულნი“ არიან კვეხნა-ტრაბახით შეავსონ უფსკრული რეალურსა და სასურველს შორის. ზოგჯერ კი ისე შორს მიდიან, თავადვე სჯერათ ის, რის შესახებაც ტრაბახობენ. ბეკინა ასე მოძღვრავს შვილსა და რძალს: „ღმერთმა იცის და ყველა ხედავს, რომ არა გიჭირთ-რა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა. წყალიც, სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც! (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას – ტყე სრულიად არა ჰქონებია).

არისტო რომ არისტოა, ქვაშავიძე, მართლა შავ დღეზე გაჩენილი და ადამივით სასირცხოზე ლამის ფოთოლაფარებული, ისიც კი სხვის სიღარიბეზე ლაპარაკობს ერთობ ამაყად.

არაფერს ვამბობთ კირილე მიმინაშვილზე, რომელთანაც მსოფლიო ლიტერატურის ყველა ჭკუამხიარული პერსონაჟი მოწაფედ არ გამოდგებოდა, ხოლო მამის დანატოვარი რაკი სხვაზე მეტი, საერთოდ კი ცოტაოდენი რამ გააჩნია, კვეხნა-ბაქიაობაში ტოლს ვერავინ დაუდებს.

ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, კლდიაშვილის პერსონაჟთა ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, რომელიც სრულად წარმოაჩენს ამ ადამიანების ყოფის ტრაგიზმს და რომელიც პლატონის პირით ასეა გაცხადებული: „თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ!.. ნამეტან უსაშუალობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირალია, რომ კიდევ ასე ხალისიანად ვართ, არაფრად ვაგდებთ ყველაფერს, არხეინად ვართ და იმას კი აღარ ვფიქრობთ, თუ რა მოგველის წინ... რას გვიპირობს მამაზეციერი!.. მარა თავს თუ არ მივეძალეთ, გული თუ არ შევიმაგრეთ, სულ წავხდებით, ბატონო, სულ ერთიანად და ის იქნება!“

ერთი სიტყვით, მთლად ისეც არ ყოფილა საქმე, ერთი ქართული ანდაზა რომ ამბობს: გადარეულისათვის ნიადაგ ლხინიაო. ქართველი კაცი, გასაჭირის დროსაც ხალისიანი, ერთი შეხედვით ყოფილა მხოლოდ ხალისიანი და უდარდელი, თორემ კაეშანმოძალებულ მის ფიქრს და ზრახვას ზოგჯერ ნიღბად, გნებავთ თავდაცვის საშუალებად სჭირდება „ესთეტიური უდარდელობის“ ის გრძნობა, რომლითაც გული თუ არ შევიმაგრეთ, ბატონო, სამანიშვილისა არ იყოს, სულ წავხდებით...

ესეც ერთი დასკვნა კლდიაშვილის პერსონაჟთა და იქნებ ჩვენი ტრაგიკომიკური ყოფის შესახებაც.

## არსებული, როგორც შესაძლებლის კარიკატურა

დავით კლდიაშვილი რეალისტი მწერალია, მან სინამდვილე ასახა. ასახა იუმორით, გროტესკით, სატირით. იმავდროულად წერს: ჩემი გმირებისთვის არასოდეს დამიცინიაო. მართლაც, დავითს უყვარს თავისი გაწამებული, კუდაბზიკა და იმავდროულად გასაცოდავებული პერსონაჟები, ამიტომ არის მის თხზულებებში სიცილთან ერთად ცრემლი, კომიკურის გვერდით ტრაგიკული, ანთუ პირიქით. არადა, როგორ ეთავსება ერთმანეთს ერთი და იმავე პერსონაჟისადმი სატირული დამოკიდებულება და თანალმობა? საქმე ის არის, რომ თვით ის სინამდვილეა გროტესკული, თვით ის ცხოვრებაა ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა, რომელიც დავითმა დაგვიხატა. ცხოვრება როგორიც იყო და ნაწილობრივ დღესაც არის სინამდვილეში.

ადამიანთა არსებობა ცისქვეშეთში არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ვჭამოთ, ვსვათ, შვილები გავაჩინოთ და როცა დრო მოვა, აქედან ავიბარგოთ. ადამიანები სხვა სულიერთაგან განსხვავებით მხოლოდ ბიოლოგიური არსებანი არ არიან. არადა, სწორედ ის მისია აღარ გააჩნიათ კლდიაშვილის გმირებს, რომლითაც ადამიანი სხვა ცოცხალ არსებათაგან განსხვავდება. ამიტომაც, ადამიანი ადამიანის, ხოლო ცხოვრება ცხოვრების კარიკატურად ქცეულა. ხოლო კლდიაშვილის გმირები იმდენად არიან საცოდავნი და თანალმობის ღირსნი, რამდენადაც მათ „მზამზარეულად“ დახვდათ ასეთი ყოფა და ხშირად მათი თავგანწირული შრომაც კი ვეღარაფერს ცვლის... სხვათა შორის, პირველი ზარი, რომ ეს ასე მოხდებოდა, ილია ჭავჭავაძემ ჩამორეკა. მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა და ერთ დროს ქვეყნის თავისუფლების დამცველ თავადაზნაურობას საკუთარ სტომაქზე ზრუნვის „მისიაღა“ დარჩა, გაჩნდა თათქარიძეობის სენი. ილიას მკვახე შეძახილმა, სამწუხაროდ, ვერ გამოიღო შედეგი. ჯერ თავის ჯამს ჩამაცქერალი, ფუნქციადაკარგული (კუჭის ფუნქციას არ ვგულისხმობ) ლუარსაბ თათქარიძის უარყოფითი იდეალის მაგალითი მივიღეთ იდეალური ავთანდილის მაგალითის ნაცვლად, შემდეგ კი თათქარიძეობის მეტასტაზების განვრცობით, ნამდვილი ცხოვრების წილ, ნამდვილი ცხოვრების კარიკატურაღა შეგვრჩა.

კლდიაშვილის გმირები არსებითად მისიადაკარგული თათქარიძის შთამომავალნი არიან, იმ განსხვავებით, რომ ახალმა დრომ კუჭის ფუნქციის გათვალისწინებით, მათგან ფიზიკური შრომა მოითხოვა. სხვა ფუნქცია, როგორც ვთქვი, მათ არ გააჩნიათ. სწორედ ამ აზრით არის კლდიაშვილის მიერ ასახული ცხოვრება ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა.

სწორედ ამიტომ არის გაძევებული დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან ყველაფერი ის, რაც ერთ დროს გააჩნდა ადამიანს, არა მხოლოდ როგორც ბიოლოგიურ, არამედ, როგორც ღვთაებრივ არსებას.

გაძევებულია სიყვარული;

გაძევებულია მოყვასისათვის თანადგომის ბუნებრივი სურვილი;

გაძევებულია სიახლის, უკეთესის ძიების გრძნობა;

გაძევებულია საერთო ბედნიერების შეგნების უნარი.

ამასთან, კლდიაშვილის სამყაროში პირველიც გვხვდება, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. ოღონდ ნამდვილის კარიკატურული, გროტესკული ფორმით. როგორც ვთქვით, აქ ყველაფერი თავდაყირა დგას. თავდაყირა დგას იმავე მიზეზით, რა მიზეზზედაც ილიამ თათქარიძეობასთან მიმართებაში გაუსვა ხაზი: ადამიანები ჭამენ, სვამენ, ხორცზე ზრუნავენ, არა იმიტომ, რომ იცხოვრონ, არამედ ცხოვრობენ, რათა ჭამონ და სვან, ანუ მათი ყოფიერების საზრისს წარმოადგენს არა ცხოვრება, არამედ არსებობა. ცალცალკე გამოვყოთ თითოეული თემა.

## სიყვარულის კარიკატურული არსი

კი, სიყვარული გაძევებულია დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან. თქვენ ვერ ნახავთ მის თხზულებებში ამურის ისრით დაჭრილ ქალვაჟთა ურთოლვასა და ჩურჩულს. სიყვარული მხოლოდ გარიგების, ალებ-მიცემობის, ქალის ოჯახისათვის კუდის რიკამდე გატყავების, ვაჟის ოჯახისთვის კი ქონების შეძენის საშუალებად ქცეულა. თუმცა „სამანიშვილის დედინაცვალში“ ისეთი სიუჟეტია გამოყენებული, რომ არა მისი კარიკატურული ფორმა და არსი, შუა საუკუნეების საგმირო-სატრფიალო რომანები გაგახსენდებოდათ.

როგორია კლასიკური მოდელი სატრფიალო რომანებისა?

ვაჟი, ბედაურზე ამხედრებული, მიდის სატრფოს საძებნელად და გზადაგზა საგმირო ამბებს ჩადის. ბოლოს პოულობს თავის გულისწორს, მრავალფათერაკგამოვლილი გამოიტაცებს სატრფოს და შემოიქცევა შინ.

ეს ყველაფერი „სამანიშვილის დედინაცვალშიც“ არის, ოღონდ, ვიმეორებ, საოცრად გროტესკული ფორმით და არსით. რაც მთავარია, მწერალი ამ ფორმას შეგნებულად კი არ მიმართავს სასიყვარულო თავგადასავლების კლასიკური მოდელის ირონიზირების მიზნით, როგორც ეს სერვანტესის „დონ კიხოტშია“, არამედ თვით ცხოვრება, კარიკატურული სინამდვილე სთავაზობს ფათერაკიანი თავგადასავლების სასაცილო და გროტესკულ სიუჟეტს.

პლატონიც „ბედაურზე“ ამხედრებული გამოდის შინიდან. ოღონდ სანახევროდ ეს „ბედაური“ მიაჩაქჩაქებს გამწარებით მხედარს, სანახევროდ კი მხედარი მიათრევს წყევლა-კრულვით თავის „რაშს“...

გაგრძელება იქნება

დასაწყისი, „საქართველო“ №93

# ორსახოვანი იანუსია, სიმართლე ერთია...

ამას წინათ გაზეთ „საქართველოდან“ განგაშის ზარი ჩამოვკარით აზერბაიჯანელი ეროვნების კაცის, ოჯახვერდოვის, მიერ დაფიქსირებული სავალალო ფაქტების გამო, რომელიც ეხებოდა ქვემო ქართლში მიწების უცხოტომელებზე გაყიდვას. სასიამოვნოა, რომ ჩვენი კოლეგები „დილის გაზეთიდან“ ოპერატიულად გამოეხმაურნენ ჩემს წერილს – „აბო თბილელიდან ოჯახვერდოვამდე“ და გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნებულ მასალებს. გუბაზ მეგრელიძეს უნახავს გარდაბნის რაიონის პროკურორი და თავად ოჯახვერდოვი. გამოაქვეყნა მათთან საუბარი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ამ საუბრების გვერდიგვერდ წარმოდგენამ შეუძლებელია კიდევ ერთხელ არ ალაშფოთოს მკითხველი.

რაიონის პროკურატურა თურმე პირველ რიგში იძიებს არა იმას, ვის, რამდენ უცხოტომელს და რამდენად კანონიერად მიეყიდა სამუდამოდ ჩვენი მიწა, არამედ იმას, თუ რა კაცია ეს ოჯახვერდოვი.

ოჯახვერდოვი გვეუბნება: ქვეყანა თავზე გენგრევათო, ესენი გაიძახიან: – ამა და ამ კაცს ცილს სწამებსო.

ის წერს: 100 გაყრა, იმ მიზნით, რომ მიწები ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე მიეღოთ, ერთ დღეშია გაფორმებულიო.

ესენი ამბობენ: ეს კაცი ნასამართლევი გახლავთო... არადა, იმას უნდა პირველ რიგში შემოწმება, მართლა მოხდა ერთ დღეში 100 გაყრა? რა ვიფიქროთ, ერთ დილით ადგა 100 აზერბაიჯანელი ცოლ-ქმარი და მაინცდამაინც ერთსა და იმავე დღეს გაიგდეს ერთურთი სასამართლოსკენ კინწისკვრით, აწი ჩვენი ერთად წოლა არ იქნებაო?

ან იქნებ ერთ დღეს მოიფიქრა 100-მა მამამ: შვილს ფეხი უნდა ამოვუკვეთო ჩემი სახლ-კარიდანო. როგორია ერთ დღეში ასი ბეკინასა და პლატონის გაყრის სიუჟეტი?

იქნებ 100 ოჯახიდან ერთ დღეს გაიყარნენ ძმები და მაინცდამაინც იმ ერთ დღეს დაერივნენ მუთაქისა და ბალიშის გასაყოფად „პავლეები“ და „ანდუყაფარები?“

იძიებს ამ საქმეს ვინმე?

ვიღაცას ხომ უნდა გაეყარა ერთ დღეში ეს 100 „გერიტი“?

ის ვიღაცა ან ვიღაცეები ხომ კონკრეტული ჩინოვნიკი ან ჩინოვნიკები არიან და არა უცხოპლანეტელები?

ასე რომ, „დილის გაზეთის“ ნეიტრალური სათაური – „რამდენი სახე აქვს სიმართლეს?“ ერთი პასუხი ახლავს – სიმართლეს ერთი სახე აქვს.

იქ მიწები მართლაც უკანონოდ იყიდება და ყველას ის უჯობს, განგაშის ზარი ამ ფაქტის გამო ჩამოკრას, სანამ გვიანი არ არის... ეს პროკურორები, ეს მოსამართლეები, ეს გუბერნატორები წავლენ. მამული კი დარჩება. მაგრამ იგი, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი აღარ იქნება და მერე ვის მოვთხოვოთ პასუხი, ყოფილ ჩინოვნიკებს? ან რას მოგვცემს მათთვის პასუხის მოთხოვნა, თუნდაც მათი გასამართლება. მიწას რა, უკან დაგვიბრუნებს ვინმე?

**ნოდარ გრიგალაშვილი**

სხვა გაზეთებიდან

# რამდენი სახე აქვს სიმართლეს?

*გაზეთ „შანსის“ 10–11 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ალიბეგ ოჯახვერდოევის „მიმართვა ქართველ ხალხს“, რომელშიც საუბარი იყო გარდაბნის რაიონში და, საერთოდ, ქვემო ქართლში მიწებით ვაჭრობისა და სხვა კანონდარღვევათა შესახებ. მიმართვის ავტორს წინგახედულად გასჩენია შიში, რომ დღეს მიწების ასეთი გასხვისება ხვალ ახალი კონფლიქტების წარმოშობის მიზეზად იქცევა.*

*ჩვენი ინტერვიუ უკვე მზადდებოდა, როცა 25–26 სექტემბრის გაზეთ „საქართველოში“ თავად რედაქტორმა ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა აბო თბილელის ისტორიულ მაგალითთან პარალელების მოხმობით შეგვახსენა, რომ ამ ამბავმა ისევე უნდა გამოაფხიზლოს ქართველი, როგორც ოდესღაც აბოს მოწამებრივმა გაკვეთილმა.*

*გავიგეთ, ოჯახვერდოევი დაუკავებიათო და სიტუაციაში გასარკვევად ადგილზე მივაშურეთ. შევხვდით რაიონის პროკურორს თენგიზ მარჯანიშვილს და თავად ალიბეგ ოჯახვერდოევს.*



– ბატონო თენგიზ, როგორ დაიწყო საქმის ძიება?

– *შევეცდები, ისეთი პასუხი მოგცეთ, არ დაერღვეთ არც გამოძიების საიდუმლოება და არც უდანაშაულობის პრეზუმფცია.*

*„შანსში“ აღნიშნულია, თითქოს გარდაბნის სასამართლოს თავმჯდომარემ განაჩენის დადგენისას, შეღავათის გაწევისთვის 1700 დოლარი აიღო. მოყვანილია მაგალითი იმ გამომძიებელზეც, რომელიც ამჟამად ჩვენთან აღარ მუშაობს (ამ საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს), თითქოს მან 300 დოლარი გამოსძალა.*

*გაზეთი იმ დღესვე ჩაგვივარდა ხელში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, წერილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებას წარმოადგენს და პროკურორმა მასზე რეაგირება უნდა მოახდინოს. გამომძიებელს მითითება მივეცი, ყველა ფაქტი შეემოწმებინა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია თავად წერილის ავტორის პოზიცია. გამომძიებელი ოჯახვერდოევთან მეორე დღესვე მივიდა, მაგრამ მან საუბარზე უარი განგვიცხადა იმ მოტივით, რომ პარლამენტიდან მითითება ჰქონდა, არავისთვის მიეცა ჩვენება. მაშინ საქმე ჯერ აღძრული არ იყო და ამიტომ პროკურატურაში წარმოდგენის უფლებაც არ გვქონდა.*

– თქვენ თუ დაუკავშირდით პარლამენტში იმ პირებს, ვინც ასეთი მითითება გასცა?

– *დავუკავშირდი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ ონაძეს. მან განგვიცხადა, რომ მსგავს რამეს არ იტყოდა, რადგან მის კომისიას ასეთი რამ არ ევალებოდა. გვითხრა, თუკი პროკურატურა საჭიროდ მიიჩნევს და სამისო საფუძველიც არსებობს, შეგიძლიათ ოჯახვერდოევს ახსნა-განმარტება ჩამოართვათო. ამის შემდეგ ბატონ ალიბეგთან კვლავ მივედით. მან კვლავ უარით გამოგვისტუმრა.*

*ოჯახვერდოევი პროკურატურაში ნებით არ ცხადდებოდა, ამიტომაც 24 სექტემბერს იძულების წესით წარმოვადგინეთ. საქმე აღიძრა ცილისწამების მოტივით. იგი მძიმე ბრალს სდებს თანამდებობის პირთა გარკვეულ ჯგუფს. რადგან ჩვენება ვერ მივიღეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უფლება მქონდა ასეთი. ღონისძიებისთვის მიმემართა. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დაკავებას. მან მხოლოდ განმარტებისათვის საჭირო დრო დაჰყო ჩვენთან და შემდეგ სახლში წავიდა.*

– კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?

– *ოჯახვერდოევმა განგვიმარტა, რომ ჩვენებას არ მოგვცემს, ვინაიდან იგი უჩივის არა მარტო გარდაბნის სასამართლოს თავმჯდომარეს, არამედ ადანაშაულებს მთლიანად ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასაც. ამიტომაც საგამოძიებო ორგანოები ვერ იქნებიან ობიექტურნი საქმის ძიებისას. გვითხრა, მინდა ეს საქმე გენერალურმა ან თბილისის პროკურატურამ გამოიძიოს და ჩვენებას პირველივე გამოძახებისთანავე მივცემო.*

– თქვენ სისხლის სამართლის საქმე აღძარით ოჯახვერდოევის მიმართ ცილისწამების მოტივით. რატომ არ აღძარით საქმე მის წერილში მოყვანილი ფაქტების გამო?

– *თავად რომ განმარტებები მოეცა, ფაქტების შემოწმების საშუალება მქონოდა და რაიმე დადასტურება მიმეღო, ამ შემთხვევაში საქმეს აღვძრავდი. მე კი მას ორი კვირა ვეძებდი. რა მუხლით უნდა აღმეძრა საქმე?*

– განა საგაზეთო პუბლიკაცია საკმარისი არ იყო?

– *ეს საფუძველი არ გახლავთ. ახსნა-განმარტება ჩამოვართვი მოსამართლეს, რომელმაც გამოძალვის ფაქტი კატეგორიულად უარყო, ხოლო ცილისწამებისთვის განცხადებით მომმართა. ამ შემთხვევაში ჩემთვის შეფასების კრიტერიუმი ეს იყო. გამოძიების პროცესში, ფაქტების შესაბამისად, დანაშაულის კვალიფიკაცია ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს.*

– იცოდით თუ არა, რომ ოჯახვერდოევს პროკურატურაში წარმოდგენის დღეს პარლამენტში შეხვედრა ჰქონდა დანიშნული?

– *არა, საიდან უნდა მცოდნოდა. 22 ოქტომბერს მივიღე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გადაწყვეტილება. ოჯახვერდოევის პარლამენტში წასვლის ამბავი რომც მცოდნოდა, ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს. არ მქონია რაიმე ოფიციალური მითითება, რომ იგი არ გამოგვეძახა. კანონი ამას არ მიკრძალავს. იგი რომ დეპუტატი ყოფილიყო ან სხვა გარემოებებს შეეშალა ხელი, სხვა საქმე იყო.*

– როგორ წარიმართება საქმის შემდგომი განვითარება?

– *ამას ჩემი ხელმძღვანელობა გადაწყვეტს. ჩემი მოსაზრებები ჩამოვაყალიბე წერილში, რომლითაც ხელმძღვანელობას საქმის კურსში ჩავაყენებ. კანონში ჩამოთვლილია აცილების მთელი რიგი გარემოებები, რომლის დადასტურებისას გამომძიებელი თვითონ უნდა განერიდოს საქმეს.*

ბატონ თენგიზთან საუბრის შემდეგ, სოფელ გაჩიანში თავად ალიბეგ ოჯახვერდოევი მოვინახულეთ და ამბები დაწვრილებით გამოვკითხეთ.

– როგორ წარგადგინეს პროკურატურაში?

– *ჩემთან მოვიდა პოლიციის უფროსის მოადგილე. პროკურორი გიბარებსო. მე უარით გავისტუმრე, რადგან 12 საათზე ბატონ ვახტანგ გოგუაძეს უნდა შევხვედროდი. თანაც ახსნა-განმარტებას არ მივცემდი – ქვემო ქართლის მხარის ხელმძღვანელობას არ ვენდობი. მიწების გაყიდვის მთავარი ხელმძღვანელი გუბერნატორი ლევან მამალაძეა. ამიტომ იგი ძიების ობიექტურად წარმართვას არ დაუშვებს.*

*პროკურორთან წამიყვანეს. მან მითხრა, რაც იცი, დაწერეო. არ დავწერე, ვინაიდან ამ მხარეში არავის არ ვენდობი. განცხადება მიხეილ ონაძესთან შევიტანე და მის პასუხამდე არაფერს არ ვიტყვი-მეთქი. პროკურორმა მიპასუხა, ჩვენ დაგებარებითო. დაწერეს აქტი და სახლში გამიშვეს.*

– რომელ საათზე მოგაკითხეს?

– *თერთმეტის თხუთმეტ წუთზე.*

– რამდენ ხანს გაგაჩერეს?

– *პროკურატურიდან 13 საათსა და 15 წუთზე გამოვედი.*

– პროკურატურაში თქვეს, რომ რამდენჯერმე იყავი დაბარებული, მართალია ეს?

– *ოფიციალური უწყება მხოლოდ ერთხელ მომივიდა.*

– თქვენს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ცილისწამებისთვის არის აღძრული. წერილში მოყვანილ ფაქტებს თუ დაამტკიცებთ?

– *მინდა ძიება სამართლიანად წარიმართოს. მიწების გაყიდვას დავამტკიცებ, ვიტყვი, რა დარღვევებიცაა და ვინც მონაწილეობს. ჩვენებას მივცემ საქართველოს ან ქალაქის პროკურატურას.*

– დიდი ხანია, რაც მიწების გაყიდვა დაიწყო?

– *5 წელია უკვე, რაც ვიბრძვი. ერთი წელი ციხეშიც ვიჯექი. პირზე კაცი დამაყენეს, თითქოს აფერისტი ვიყავი და მოპარული მანქანების გაყიდვისას შუამავლობას ვეწეოდი.*

– პროკურატურაში თქვეს, რამდენჯერმე ხართ ნასამართლევი. მართლა?

– *საიდან მოიტანეს. ეს ჩემი პირველი ნასამართლობა იყო. ვინც პირზე დამადგა, ახლა ამბობს, ალალმართალი ძიება რომ წავიდეს, ვიტყვი, რომ შენ მონაწილე არ იყავიო. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, ამ საქმის ძიება თავიდან წარიმართოს და გაირკვეს, რატომ ვიჯექი. ვიცი, დამსაჯეს იმიტომ, რომ მიწების გაყიდვას ვჩიოდი – დაწყებული რაიონის და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებით დამთავრებული, ყველგან ჩემი განცხადებაა – უშიშროებაში, საგადასახადო ინსპექციაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში. კონტროლის პალატაში შეტანილი განცხადება უკან, გუბერნიაში გადმოაგზავნეს. იქიდან მოვიდნენ, მითხრეს, დაწერე, რომ შენი დაწერილი არ არისო. ვიუარე. დამემუქრნენ: შენვე აგებ პასუხსო. მართლაც, დამიჭირეს.*

*ბევრნი ვიყავით, მაგრამ მე რომ დამიჭირეს, ყველას შეეშინდა. ახლა ჩემი სახლის უწინდელ პატრონს პოლიციაში განცხადება შეატანინეს, თითქოს ამ სახლში ძალით შევიჭერი. არადა, 10 ათასი დოლარი გადავუხადე.*

– კონკრეტულად ვინ გებრძოდათ?

– *ამ ხუთიოდე წლის წინათ ხუტა მამალაძე მებრძოდა. რაიონის დანგრევისთვის დეპუტატად დააწინაურეს. სწორედ მან დაიწყო მიწის გაყიდვაც. შემდეგ ორგანიზატორი გახდა ლევან მამალაძე. მებრძოდა გარდაბნის გამგებელი, ოლეგ ნიკოლეიშვილიც, ახლა გურიის გუბერნატორი რომ გახდა.*

*ასეთი ფაქტიც მოხდა: ალიევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით სოფელში მასწავლებლებისთვის ჰუმანიტარული დახმარებით 60 ტონა ფქვილი და სკოლებისთვის 30 ტონა დიზელის საწვავი მოვიდა. ეს ყველაფერი ნიკოლეიშვილმა გასანაწილებლად დეპუტატ ისაკ ნოვრუზოვს გადასცა. მან ფქვილი და საწვავი გაყიდა, ფული კი ჯიბეში ჩაიდო.*

*ნოვრუზოვს საქართველოს მიწაც ჰუმანიტარული დახმარება ჰგონია. ვისაც ვამხელ, მათთან დაპირისპირებისთვის ყოველთვის მზად ვარ. მიწები გაიყიდება და საქმე იქამდე მივა, რომ იტყვიან, ქართველებს გვასახლებენო და ხალხიც აჯანყდება. არ მინდა, მდგომარეობა ასე დაიძაბოს. სიმართლე დროულად უნდა გაირკვეს.*

– თქვენც მიწის გულისთვის ხომ არ იბრძვით?

– *მიწის მეტი რა მაქვს. 2300 კვ.მეტრი მიწა და სახლ-კარი მაქვს. მეტი არ მჭირდება.*

– ვისზე იყიდება მიწები?

– *აქაურებზეც და ჩამოსულებზეც. რუს სამხედროებსაც მიწა სხვის სახელზე აქვთ აღებული და სახლების აშენებაც უნდათ. ფიქტიური განქორწინებებიც ბევრია. 5 წელიწადში 3500-მდე გაყრა გაფორმდა, რითაც მიწები ოჯახის წევრებმა ცალ-ცალკე მიიღეს. 100 გაყრა ერთ დღეშია გაკეთებული.*

*1992 წლის 7 თებერვალს შევარდნაძემ განკარგულება გამოსცა, რომ 1992 წელს განქორწინებულები მიწით დაეკმაყოფილებინათ. ამის განმკითხავი კი არავინაა. ყველაფერი ინერციით, ძველებურად გრძელდება.*

*ლევან მამალაძემ მშრომელი ხალხი დააჩოქა. ვისაც მუშაობა უნდა, სამუშაოს არ აძლევს. პირველი კატეგორიის მიწები მესამე კატეგორიადაა გაფორმებული, რომ ხაზინაში ნაკლები გადასახადი შევიდეს.*

*ამ ნაყოფიერ მიწებს სათიბად იყენებენ. ერთ შეკვრა თივას დოლარად თურქეთში ყიდიან. ახლა ვითომ ხორბალი არ მოდის, მაშ, ადრე როგორ მოჰყავდათ? ტექნიკაც გაყიდეს. ვერაფერს გაიგებ, ისეთი უპატრონობაა.*

– გემუქრებიან?

– *გაჩიანის გამგებელი ბაირამოვი მოკვლით მემუქრება. ჩემს წინააღმდეგ ხალხს ამხედრებს, თითქოს ერის მოღალატე ვიყო. ლევან მამალაძემ და მხარის პროკურორმა სითმა მაჭავარიანმა სოფლის თავყრილობა მოაწყეს. ფირი აზერბაიჯანში გაგზავნეს, მაგრამ იქ ჯერ ტელევიზიით არ გადაუციათ. გასახლებითაც მემუქრებიან. ჩემი სამშობლო საქართველოა. აქ დავიბადე და აქვე მოვკვდები. სანამ ჩემს სიმართლეს არ დავამტკიცებ, არ გავჩერდები.*

*მინდა ეს ამბავი პრეზიდენტამდე მივიდეს და მან განსაჯოს მტყუან-მართალი.*

ესაუბრა
**გუბაზ მეგრელიძე**
„დილის გაზეთი“
26 სექტემბერი

# სომხეთი — რუსეთის სანდო პლაცდარმი...

მეოთხე გვერდიდან

ითხიც დაკავშირებულია ყარაბაღის პრობლემის მოგვარებასთან.

*— თქვენი აზრით, რა გავლენა შეიძლება იქონიოს თურქეთ-ისრაელის სამხედრო თანამშრომლობამ რეგიონზე, და კერძოდ, სომხეთზე?*

— ვფიქრობ, რეგიონში კონფლიქტების გაღრმავებისაკენ მიმართული ყველა შეთანხმება ასე თუ ისე სომხეთზეც იმოქმედებს, თუ ისრაელ-თურქეთის სამხედრო შეთანხმება არაბული ქვეყნების წინააღმდეგაა მიმართული, ბუნებრივია, გამწვავდება დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში და უფრო გაურკვეველს გახდის სომხეთის მდგომარეობას.

ე.წ. კავკასიის ეუთოს შექმნასთან მიმართებაში სომხეთის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს ინიციატივა ჩეჩნეთს ეკუთვნის და იმისდა მიუხედავად, რაც პრესაში იბეჭდება, მის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, არც საქართველო და აზერბაიჯანი უჭერენ მას მაინცდამაინც მხარს. უბრალოდ, მათ თავისი პრობლემები აქვთ ჩეჩნეთთან და არ სურთ მისი განაწყენება. „არსებობს ბორის ელცინის ინიციატივა — კავკასიის 4 ქვეყნის (რუსეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ხელმძღვანელთა კისლოვოდსკის შეხვედრა, რომელზეც გადაწყდა, რომ მსგავსი შეხვედრები პერიოდულ ხასიათს მიიღებდა. მოსკოვში ჩემი ვიზიტის დროს ეს საკითხი სერიოზულად განიხილებოდა, ამ იდეას მეც მივესალმები. ჩეჩნეთის ინიციატივა, ფაქტიურად, რუსეთის ინიციატივის ჩაგდების მცდელობა იყო. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების მაღალი დონის შეხვედრები გაცილებით სერიოზული პერსპექტივების მქონეა, ვიდრე ჩეჩნეთის ინიციატივა.

*— როგორი ურთიერთობაა სომხეთსა და თურქეთს შორის?*

— ჩვენი მხრიდან პრობლემა არ არსებობს. ყოველგვარი პირობების გარეშე მზად ვართ თურქეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად, საზღვრების გასახსნელად, ჩვენი კომუნიკაციების შესათავაზებლად სატრანზიტო ვაჭრობისათვის. თურქეთიც თითქოს თანახმაა ყოველივე ამაზე, თუმცა ისეთი მახე დაიგო, რომ გამოსვლას ველერ ახერხებს: სომხეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას იგი სომხეთ-აზერბაიჯანის პრობლემებს, კერძოდ, ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებას უკავშირებს. ჩვენ ამაოდ ვეცადეთ მათი დარწმუნება ამ ორი საკითხის შეუთავსებლობაში და მათ ცალ-ცალკე განხილვის აუცილებლობაში. შეიძლება, იმაში ვართ დამნაშავე, რომ კარგად ვერ განვუმარტეთ ყველაფერი. მე მიმაჩნია, რომ თუ თურქეთი ნამდვილად დაინტერესებულია სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებაში, სურს ყარაბაღის პრობლემის მოგვარებისათვის ხელშეწყობა, მაშინ, ჩემის ღრმა რწმენით, თურქეთი გაცილებით იოლად მიაღწევს თავის მიზნებს, თუ ჯერ თავის ურთიერთობებს გააუმჯობესებს სომხეთთან მიმართებაში. ამით თურქეთი ყარაბაღის პრობლემის დარეგულირებასაც შეუწყობს ხელს.

*— გასულ წელს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბრძანეთ, რომ ხელისუფლების სათავეში ოპოზიციის მოსვლა ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლებას გამოიწვევს. დღეს რა ვითარებაა ამ პრობლემასთან მიმართებაში, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როცა მთიანი ყარაბაღის თავდაცვის მინისტრი საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობის შესახებ აცხადებს და იგი არ უკავშირებს ამას ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლას?*

— ეს ვთქვი, მაგრამ ზუსტად ისე არა, როგორც თქვენ ამბობთ, თუმცა, არსი იგივეა. დარწმუნებული ვიყავი, ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ავანტიურაზე წავიდოდა, რაც პირველ რიგში ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლებას ითვალისწინებს. მაგრამ, იცით, ეს ის ვარაუდია, რომელიც არ მტკიცდება. როგორც ცნობილია, ისტორიაში არ არსებობს „თუ".

რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის თავდაცვის მინისტრის განცხადებას, მიმაჩნია, რომ ეს გაუფრთხილებელი, მოუქნელი განცხადებაა დარეგულირების დღევანდელი პროცესის ფონზე. მე მინდა ეს მინისტრის პირად შეხედულებად ჩავთვალო, რომელიც საერთოდ არ გამოხატავს ყარაბაღის ხელისუფლების პოზიციას. ჩვენ მთელ მსოფლიოსთან ერთად დავინახეთ, თუ რამდენად დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა მთიანი ყარაბაღის ხალხმა. ჩემთვის და მთელი მსოფლიოსთვის ყარაბაღის ხელისუფლების აზრის გამომხატველი მისი პრეზიდენტია.

რაც შეეხება საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობას, მიმაჩნია, რომ ახლო მომავალში ომი არ დაიწყება, რადგან სამშვიდობო პროცესს უკვე სერიოზული საფუძვლები აქვს. დღეს ომი არც ყარაბაღს აძლევს ხელს და არც აზერბაიჯანს, რადგან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების სერიოზული იმედები გაჩნდა.

*— ბოლო დროს ბევრს საუბრობენ სომხეთისა და აზერბაიჯანის შეიარაღების თანაფარდობაზე და აზერბაიჯანის უპირატესობას აღნიშნავენ. როგორია დღეს ეს თანაფარდობა და არის თუ არა რაიმე შედეგები სამმხრივი კომისიის მუშაობაში, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის შეიარაღების მიწოდების საკითხებს განიხილავს?*

— რაც შეეხება პირველ შეკითხვას — ციფრებს არ გაგიმჟღავნებთ. ჩვენი გაანგარიშებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში აზერბაიჯანმა სომხეთთან შედარებით 2-3-ჯერ მეტი იარაღი, ჯავშანტექნიკა და ტყვიაწამალი მიიღო. თუმცა, საომარი მოქმედებების დროს აზერბაიჯანმა ძალების ძირითადი ნაწილი დაკარგა. ორმაგი და სამმაგი უპირატესობის შემთხვევაში აზერბაიჯანი უკვე განაახლებდა საომარ მოქმედებებს.

კომისიასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუწყია არსებითად მუშაობა. ჯერ არ შემდგარა სამმხრივი შეხვედრა. ამჟამად ორმხრივი კონსულტაციები მიმდინარეობს.

რეგიონის ლიდერობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პრეზიდენტმა უპასუხა, რომ თუ საუბარი ახლო აღმოსავლეთს ეხება, აქ ლიდერობაზე ვერ იფიქრებენ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. რეგიონში ლიდერობის პრეტენზია აქვს თურქეთს, თუმცა, ვერც ის შეძლებს ამას, რადგან დიდი პრობლემები აქვს ლიდერობის სხვა პრეტენდენტ ქვეყნებთან.

*— ბატონო პრეზიდენტო, 25 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მხარი დაუჭირა (344 ხმით 1-ის წინააღმდეგ) სომხეთის რუსეთ-ბელორუსის კავშირში გაწევრიანებას. თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით?*

— ჯერ ერთი რამ დავაზუსტოთ — სომხეთის მხრიდან არ არის ასეთი ინიციატივა. ეს ინიციატივა რესპუბლიკის გარკვეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკუთვნის. რაც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას, ჩემთვის გასაოცარია იგი. ეს კენჭისყრა, ვფიქრობ, რამდენიმე წამქეზებელი მოტივის შედეგია, რადგან მას სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა დაუჭირეს მხარი. დარწმუნებული ვარ, რომ დეპუტატების უმრავლესობა სომხეთისადმი მეგობრული დამოკიდებულების გამოა დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის ამ კავშირში გაწევრიანებით. დანარჩენს, ასევე გულწრფელად სურს რუსეთ-სომხეთის ურთიერთობების გამყარება. ზოგიერთს იმპერიული ამბიციები ამოძრავებს, რადგან ამ კავშირში სურთ აღადგინონ რუსეთის ძველი ძლევამოსილება. რაც შეეხება ინიციატივას, მინდა გავარკვიო ეს საკითხი.

ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო სათათბირო ფაქტიურად მიესალმება რუსეთ-სომხეთს შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების" დადებას და სომხეთს, როგორც საიმედო პარტნიორს, განიხილავს. სომხეთში ამ პროცესთან დაკავშირებით მოგეხსენებათ, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კომუნისტებისა და ინტელიგენციის ჯგუფის ინიციატივით რუსეთ-ბელორუსიის კავშირში გაწევრიანების მხარდამჭერი ხელშეკრულებები გროვდებოდა. როგორც ამბობენ, დაახლოებით 1 მილიონი ხელმოწერა შეგროვდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ეს არ შეუწყობს ხელს რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიცირებას. შემთხვევითი არაა, რომ აზერბაიჯანმა სწორედ ახლა დაიწყო ჩვენი ხელშეკრულების საწინააღმდეგო კამპანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ჩვენ უკვე გვაქვს ამის გამოცდილება: გავიხსენოთ, რომ აზერბაიჯანმა სწორედ მაშინ წამოწია სომხეთისათვის რუსეთიდან თითქოს უკანონოდ იარაღის მოწოდების საკითხი, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს დღის წესრიგში შესული იყო სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზის რატიფიკაციის საკითხი. აზერბაიჯანის მთელი ძალისხმევა ამ რატიფიკაციის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც ვერ მიაღწიეს. თქვენ გეგონათ, რომ ჩვენ მორიგი დიპლომატიური მარცხი განვიცადეთ, რადგან პრესაში აზერბაიჯანის „ჩაწოდებაზე" დიდი აურზაური ატყდა. თუმცა, პირიქით მოხდა — თავად აზერბაიჯანმა განიცადა თავბრუდამხვევი მარცხი. რა თქმა უნდა, გემახსოვრებათ ამ ხელშეკრულების სახელმწიფო სათათბიროში კენჭისყრის შედეგები. ახლაც იგივე ხდება. აზერბაიჯანი დღესაც ყველაფერს გააკეთებს რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის ჩასაშლელად და გარწმუნებთ, რომ რუსეთშიც გამონახავს მხარდამჭერ ძალებს. დუმაშიც კი, სადაც ასეთი ერთსულოვანი კენჭისყრა მოეწყო 25 სექტემბერს, გამოინახება ხალხი, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას. სომხეთის რუსეთ-ბელორუსიის კავშირში გაწევრიანების საკითხს უკუშედეგი მოჰყვება როგორც სომხეთში, ასევე რუსეთში. საინიციატივო ჯგუფები დღემდე მშვიდად აგროვებდნენ ხელმოწერებს, ეწეოდნენ აგიტაციას, თუმცა კონტრპროპაგანდას ფაქტიურად ადგილი არ ჰქონია. როდესაც მოხდება ამ საკითხის კანონის დონეზე გადაწყვეტის მცდელობა, როდესაც დასამტკიცებლად წარედგინება იგი ეროვნულ საკრებულოს, როდესაც მოითხოვენ რეფერენდუმის ჩატარებას და ა.შ. მაშინ, ბუნებრივია, სომხეთის მრავალი პოლიტიკური პარტია დაიწყებს კონტრპროპაგანდას. ამას რუსეთშიც მოჰყვება სათანადო რეზონანსი.

ინიციატორებს მოვუწოდებ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში გამონახონ მხარდამჭერები რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის მისაღწევად, ხოლო შემდეგ იფიქრონ რუსეთ-ბელორუსიის კავშირში სომხეთის გაწევრიანება-არგაწევრიანების საკითხზე. (პრამნიუსი)

# არ შეიძლება იმის დავიწყება, როგორ მოექცნენ ძოძუაშვილს...

ნაკლებად თუ აღიქვამს ვინმე სერიოზულად საუბრებს იმის შესახებ, რომ სპორტსა და პოლიტიკას არანაირი შეხების წერტილები არ გააჩნია. სპორტი ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ფართო ფენებზე ორიენტირებული პროპაგანდის უძლიერესი იარაღია. დროშები და ჰიმნები ყველა მსხვილი შეჯიბრების განუყოფელი ატრიბუტიკაა, ხოლო გამარჯვებულის მიერ გაშლილი დროშით საპატიო წრის შემოვლა მთელი ერის ტრიუმფის, სიამაყის ცრემლების, ეროვნული სულის ზეიმის წამებია. პატარა სახელმწიფოსთვის მისი წარმომადგენლის გამარჯვება მსოფლიო, ან კონტინენტის ჩემპიონატზე იძლევა იმის უდიდეს საშუალებას, რომ მთელ მსოფლიოს აჩვენოს თავისი შესაძლებლობები და შეახსენოს საკუთარი თავის შესახებ.

სპორტის რომელი სახეობა შეედრება ფეხბურთს თავისი პოპულარობითა და პროპაგანდისტული შესაძლებლობებით?

მოვახდინოთ ცნობილი პერიფრაზირება: „ფეხბურთი საქართველოსთვის ფეხბურთზე მეტია". ათწლეულების მანძილზე მას სავსებით გამოკვეთილი ადგილი ეკავა ქართველთა ცხოვრებაში. ფეხბურთი იყო სულის მოთქმა, იმედი, სიამაყისა და იმედგაცრუების საგანი. ის, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არ ჰქონდათ საკუთარი დროშის ქვეშ გამოსვლის საშუალება, რომ უცხოურ პრესაში ჩვენს გრძელცხვირა და შავთმიან „კავკასიური წარმოშობის პირებს" „რუსებს" უწოდებდნენ, არანაირად არ ამცირებდა საერთაშორისო ასპარეზზე მათ გამოჩენას (და წარმატებებს). მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და გავიხსენოთ, გვახსოვს თუ არა ისეთი საერთო ეროვნული, ჭეშმარიტად ერთსულოვანი აღმაფრენის დღე, როგორიც იყო 1981 წლის 13 მაისი?

დღეს ჩვენ ეროვნული დროშის ქვეშ გამოვდივართ; ვართ ფიფას, უეფას წევრები და მონაწილეობას ვიღებთ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, კონტინენტის საუკეთესო საკლუბო გუნდების შეჯიბრებაში. ზოგჯერ უნარი შეგვწევს, ტოლი არ დავუდოთ მსოფლიო ფეხბურთის გრანდებს და უშუალო ზეგავლენა მოვახდინოთ მათ მომავალ ბედზე ამ თუ იმ ტურნირში. მაგრამ ჩვენ მეტი გვინდა და ეს სავსებით ნორმალურია. საკითხავია, შევძლებთ კი უფრო მეტის მიღწევას არსებული ვითარების პირობებში? ითქმება, რომ ფეხბურთსა და პოლიტიკაში ყველა ერკვევა, მაგრამ ასე ძირითადად ისინი ფიქრობენ, ვინც სინამდვილეში არც ერთსა და არც მეორეში არ ერკვევა. ამიტომ, სპეციალისტებისა და ავტორიტეტების რისხვა რომ არ დაგვატყდეს თავს, არ შევიჭრებით იმ სფეროებში, რომლებითაც მართლაც რომ პროფესიონალები და სპეციალისტები უნდა იყვნენ დაკავებულნი. არ განვიხილავთ საკითხს იმის თაობაზე, ღირდა თუ არა ეროვნული ნაკრების წინა მწვრთნელის, ჩივაძის შეცვლა ყოფიანით.

მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყებაც, თუ როგორ მოექცნენ ძოძუაშვილს, რომელიც გამოიძახეს მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დასანიშნად, მაგრამ მეორე მწვრთნელად დანიშნეს. ამ ისტორიაში ძოძუაშვილმა თავშეკავება და ღირსება გამოავლინა, მის წინააღმდეგ კი ნამდვილი უდიერება და უტიფრობა გამოიჩინეს. შეიძლება ითქვას, ეს ინდივიდუალური უტიფრობის მაგალითია, იმ გაგებით, რომ მიმართული იყო ერთი ინდივიდუუმის წინააღმდეგ. ახლა ვნახოთ, რამდენია ჩვენს საფეხბურთო საქმიანობაში მასობრივი, ანუ გულშემატკივართა წინააღმდეგ მიმართული უტიფრობა.

ალბათ, არ მოიძებნება სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც რაიმე იმის მსგავსი ხდებოდეს, რაც ჩვენთან ხდება სტადიონზე შესასვლელ ბილეთებთან დაკავშირებით. ფეხბურთი გულშემატკივრებისთვის არსებობს და არ შეიძლება წაართვა მათ იმის უფლება, რომ წელიწადში რამდენჯერმე დაესწრონ და უგულშემატკიერონ თავის ეროვნულ გუნდს. თამაშზე დასასწრები ბილეთის ფასი არ შეიძლება უტოლდებოდეს საშუალო სტატისტიკური გულშემატკივრის საშუალო თვიურ ხელფასს. როცა მას მაინც უტოლებენ, ვიღებთ იმას, რომ ოფიციალური მონაცემებით, იტალიასთან (და სხვა მრავალ) თამაშზე გაიყიდა 15 ათასამდე ბილეთი, სტადიონზე კი 60 ათასზე მეტი მაყურებელი იყო. მსგავსი რამ მართლაც რომ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს.

მხოლოდ ჩვენთან შეიძლება დაკეტონ სტადიონის შესასვლელი ჭიშკარი 40 წუთით ადრე მატჩის დაწყებამდე და არ შეუშვან ბილეთიანი გულშემატკივრები. შემდეგ გააღებენ ჭიშკარს და შეუშვებენ ყველა გულშემატკივარს. რაკი ჭიშკარი ვახსენეთ, არ შეიძლება არ გაგვაოცოს იმან, რომ მათი უმეტესობა დაკეტილი რჩება თამაშის დამთავრების შემდეგ, რაც საშიშ ჭყლეტას ქმნის სავსებით სწორ ადგილას. კარგი ბატონო, შიგნით თუ არ უშვებთ, გარეთ მაინც გამოუშვით!

ღმერთმა დაგიფაროთ და სტადიონზე დაუცლელი შარდის ბუშტით მიხვიდეთ. საპირფარეშო, თუკი მსგავსი რამ საერთოდ აღმოაჩინეთ და შიგ შესვლა მოახერხეთ, ალბათ წყლის ისეთ შიშს გაგიჩენთ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გაგყვებათ. არ მგონია ვინმე გააკვირვოს იმან, რომ ჩვენი ეროვნული სტადიონისთვის დამახასიათებელ სუნად იქცა არა გაზონისა და ახლად გაკრეჭილი ბალახის სუნი...

დაბადებია თუ არა ვინმეს კითხვა, თუ რისთვის არის დამონტაჟებული სტადიონზე ტაბლო? თუ ჩვენი მთავარი არენის მეპატრონეებმა ოდესმე იცოდნენ მისი დანიშნულების შესახებ, ახლა ნამდვილად დაივიწყეს. საქართველო-იტალიის მთელი მატჩის მანძილზე ტაბლო მაყურებლებს მხოლოდ კონიაკის, არყის, ღვინის და ლუდის რეკლამებით აბეზრებდა თავს. სამაგიეროდ, თავი არაეის შეუწუხებია ხუთი წუთით მაინც გამოენათებინა გუნდების შემადგენლობები. ეს მაშინ, როცა სტადიონის რადიოფიცირებიდან ნაკლებად თუ დარჩა რამე და მრავალ სექტორში საერთოდ არ ისმის დიქტორების ხმა (თანაც, საინტერესოა, სად არჩევენ ისეთ დიქტორებს, ჩვენი ნაკრების მოთამაშეთა გვარებსაც რომ ვერ გამოთქვამენ სწორად?!).

სამაგიეროდ, რა ჭიდაობა გვაქვს! ბუნებრივია, არა ბერძნულ-რომაული და არც თავისუფალი, არამედ ჭიდაობა სპორტის დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის. ასეთი დაუნდობელი ბრძოლაც (რომელიც ფეხბურთს უქადის სიკვდილს, თორემ ფუნქციონერები ნებისმიერ შემთხვევაში გადარჩებიან) მხოლოდ ჩვენთან არის შესაძლებელი. ეს უკვე ჭიდაობა კი არა, ნამდვილი, ყველაზე დაუნდობელი და დამანგრეველი ომია და ვიდრე ეს ომი მიმდინარეობს, ყველასგან მივიწყებული, დამცირებული და დაბნეული ჩვენი გულშემატკივარი მოვა ხოლმე თავის ოდესღაც საყვარელ სტადიონზე და ვერ იგრძნობს თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში. (პრაიმ-ნიუსი)

ამას წინათ გაზეთ „საქართველოდან“ განგაშის ზარი ჩამოკარით აზერბაიჯანელი ეროვნების კაცის, ოჯახვერდოევის, მიერ დაფიქსირებული სავალალო ფაქტების გამო, რომელიც ეხებოდა ქვემო ქართლში მიწების უცხოტომელებზე გაყიდვას. სასიამოვნოა, რომ ჩვენი კოლეგები „დილის გაზეთიდან“ ოპერატიულად გამოეხმაურნენ ჩემს წერილს – „აბო თბილელიდან ოჯახვერდოევამდე“ და გაზეთ „შანსში“ გამოქვეყნებულ მასალებს. გუბაზ მეგრელიძეს უნახავს გარდაბნის რაიონის პროკურორი და თავად ოჯახვერდოევი. გამოაქვეყნა მათთან საუბარი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

# ორსახოვანი იანუსია, სიმართლე ერთია...

ამ საუბრების გვერდიგვერდ წარმოდგენამ შეუძლებელია კიდევ ერთხელ არ ალაშფოთოს მკითხველი.

რაიონის პროკურატურა თურმე პირველ რიგში იძიებს არა იმას, ვის, რამდენ უცხოტომელს და რამდენად კანონიერად მიეყიდა სამუდამოდ ჩვენი მიწა, არამედ იმას, თუ რა კაცია ეს ოჯახვერდოევი.

ოჯახვერდოევი გვეუბნება: ქვეყანა თავზე გენგრევათო, ესენი გაიძახიან: – ამა და ამ კაცს ცილს სწამებსო.

ის წერს: 100 გაყრა, იმ მიზნით, რომ მიწები ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე მიეღოთ, ერთ დღეშია გაფორმებულიო.

ესენი ამბობენ: ეს კაცი ნასამართლევი გახლავთო...

არადა, იმას უნდა პირველ რიგში შემოწმება, მართლა მოხდა ერთ დღეში 100 გაყრა?

რა ვიფიქროთ, ერთ დილით ადგა 100 აზერბაიჯანელი ცოლ-ქმარი და მაინცდამაინც ერთსა და იმავე დღეს გაიგდეს ერთურთი სასამართლოსკენ კინწისკვრით, „აწი ჩვენი ერთად წოლა არ იქნებაო?

ან იქნებ ერთ დღეს მოიფიქრა 100-მა მამამ: შვილს ფეხი უნდა ამოვუკვეთო ჩემი სახლ-კარიდანო. როგორია ერთ დღეში ასი ბეკინასა და პლატონის გაყრის სიუჟეტი?

იქნებ 100 ოჯახიდან ერთ დღეს გაიყარნენ ძმები და მაინცდამაინც იმ ერთ დღეს დაერივნენ მუთაქისა და ბალიშის გასაყოფად „პავლეები“ და „ანდუყაფარები?“

იძიებს ამ საქმეს ვინმე?

ვიღაცას ხომ უნდა გაეყარა ერთ დღეში ეს 100 „გერიტი“?

ის ვიღაცა ან ვიღაცეები ხომ კონკრეტული ჩინოვნიკი ან ჩინოვნიკები არიან და არა უცხოპლანეტელები?

ასე რომ, „დილის გაზეთის“ ნეიტრალურ სათაურს – „რამდენი სახე აქვს სიმართლეს?“ ერთი პასუხი ახლავს – სიმართლეს ერთი სახე აქვს.

იქ მიწები მართლაც უკანონოდ იყიდება და ყველას ის უჯობს, განგაშის ზარი ამ ფაქტის გამო ჩამოკრას, სანამ გვიანი არ არის... ეს პროკურორები, ეს მოსამართლეები, ეს გუბერნატორები წავლენ. მამული კი დარჩება. მაგრამ იგი, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი აღარ იქნება და მერე ვის მოვთხოვოთ პასუხი, ყოფილ ჩინოვნიკებს? ან რას მოგვცემს მათთვის პასუხის მოთხოვნა, თუნდაც მათი გასამართლება. მიწას რა, უკან დაგვიბრუნებს ვინმე?

**ნოდარ გრიგალაშვილი**

სხვა გაზეთებიდან

# რამდენი სახე აქვს სიმართლეს?

*გაზეთ „შანსის“ 10–11 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ალიბეგ ოჯახვერდოევის „მიმართვა ქართველ ხალხს“, რომელშიც საუბარი იყო გარდაბნის რაიონში და, საერთოდ, ქვემო ქართლში მიწებით ვაჭრობისა და სხვა კანონდარღვევათა შესახებ. მიმართვის ავტორს წინასწარ გახედულად გასჩენია შიში, რომ დღეს მიწების ასეთი გასხვისება ხვალ ახალი კონფლიქტების წარმოშობის მიზეზად იქცევა.*

*ჩვენი ინტერვიუ უკვე მზადდებოდა, როცა 25–26 სექტემბრის გაზეთ „საქართველოში“ თავად რედაქტორმა ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა აბო თბილელის ისტორიულ მაგალითთან პარალელების მოხმობით შეგვახსენა, რომ ამ ამბავმა ისევე უნდა გამოაფხიზლოს ქართველი, როგორც ოდესღაც აბოს მოწამებრივმა გაკვეთილმა.*

*გავიგეთ, ოჯახვერდოევი დაუკავებიათო და სიტუაციაში გასარკვევად ადგილზე მივაშურეთ. შევხვდით რაიონის პროკურორს თენგიზ მარჯანიშვილს და თავად ალიბეგ ოჯახვერდოევს.*



– ბატონო თენგიზ, როგორ დაიწყო საქმის ძიება?

*– შევეცდები, ისეთი პასუხი მოგცეთ, არ დავარღვიო არც გამოძიების საიდუმლოება და არც უდანაშაულობის პრეზუმფცია.*

*„შანსში“ აღნიშნულია, თითქოს გარდაბნის სასამართლოს თავმჯდომარემ განაჩენის დადგენისას, შედავათის გაწევისთვის 1700 დოლარი აიღო. მოყვანილია მაგალითი იმ გამომძიებელზეც, რომელიც ამჟამად ჩვენთან აღარ მუშაობს (ამ საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს), თითქოს მან 300 დოლარი გამოსძალა.*

*გაზეთი იმ დღესვე ჩაგვივარდა ხელში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, წერილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებას წარმოადგენს და პროკურორმა მასზე რეაგირება უნდა მოახდინოს. გამომძიებელს მითითება მივეცი, ყველა ფაქტი შეემოწმებინა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია თავად წერილის ავტორის პოზიცია. გამომძიებელი ოჯახვერდოევთან მეორე დღესვე მივიდა, მაგრამ მან საუბარზე უარი განგვიცხადა იმ მოტივით, რომ პარლამენტიდან მითითება ჰქონდა, არავისთვის მიეცა ჩვენება. მაშინ საქმე ჯერ აღძრული არ იყო და ამიტომ პროკურატურაში წარმოდგენის უფლებაც არ გვქონდა.*

– თქვენ თუ დაუკავშირდით პარლამენტში იმ პირებს, ვინც ასეთი მითითება გასცა?

*– დავუკავშირდი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ ოსაძეს. მან განგვიცხადა, რომ მსგავს რამეს არ იტყოდა, რადგან მის კომისიას ასეთი რამ არ ევალებოდა. გვითხრა, თუკი პროკურატურა საჭიროდ მიიჩნევს და სამისო საფუძველიც არსებობს, შეგიძლიათ ოჯახვერდოევს ახსნა-განმარტება ჩამოართვათო. ამის შემდეგ ბატონ ალიბეგთან კვლავ მივედით. მან კვლავ უარით გამოგვისტუმრა.*

*ოჯახვერდოევი პროკურატურაში ნებით არ ცხადდებოდა, ამიტომაც 24 სექტემბერს იძულების წესით წარმოვადგინეთ. საქმე აღიძრა ცილისწამების მოტივით. იგი მძიმე ბრალს სდებს თანამდებობის პირთა გარკვეულ ჯგუფს. რადგან ჩვენება ვერ მივიღეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უფლება მქონდა ასეთი ღონისძიებისთვის მიმემართა. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დაკავებას. მან მხოლოდ განმარტებისათვის საჭირო დრო დაჰყო ჩვენთან და შემდეგ სახლში წავიდა.*

– კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?

*– ოჯახვერდოევმა განგვიმარტა, რომ ჩვენებას არ მოგვცემს, ვინაიდან იგი უჩივის არა მარტო გარდაბნის სასამართლოს თავმჯდომარეს, არამედ ადანაშაულებს მთლიანად ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასაც. ამიტომაც საგამოძიებო ორგანოები ვერ იქნებიან ობიექტურნი საქმის ძიებისას. გვითხრა, მინდა ეს საქმე გენერალურმა ან თბილისის პროკურატურამ გამოიძიოს და ჩვენებას პირველივე გამოძახებისთანავე მივცემო.*

– თქვენ სისხლის სამართლის საქმე აღძარით ოჯახვერდოევის მიმართ ცილისწამების მოტივით. რატომ არ აღძარით საქმე მის წერილში მოყვანილი ფაქტების გამო?

*– თავად რომ განმარტებები მოეცა, ფაქტების შემოწმების საშუალება მქონოდა და რაიმე დადასტურება მიმეღო, ამ შემთხვევაში საქმეს აღვძრავდი. მე კი მას ორი კვირა ვეძებდი. რა მუხლით უნდა აღმეძრა საქმე?*

– განა საგაზეთო პუბლიკაცია საკმარისი არ იყო?

*– ეს საფუძველი არ გახლავთ. ახსნა-განმარტება ჩამოვართვი მოსამართლეს, რომელმაც გამოძალვის ფაქტი კატეგორიულად უარყო, ხოლო ცილისწამებისთვის განცხადებით მომმართა. ამ შემთხვევაში ჩემთვის შეფასების კრიტერიუმი ეს იყო. გამოძიების პროცესში, ფაქტების შესაბამისად, დანაშაულის კვალიფიკაცია ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს.*

– იცოდით თუ არა, რომ ოჯახვერდოევს პროკურატურაში წარმოდგენის დღეს პარლამენტში შეხვედრა ჰქონდა დანიშნული?

*– არა, საიდან უნდა მცოდნოდა. 22 ოქტომბერს მივიღე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გადაწყვეტილება. ოჯახვერდოევის პარლამენტში წასვლის ამბავი რომც მცოდნოდა, ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს. არ მქონია რაიმე ოფიციალური მითითება, რომ იგი არ გამოგვეძახა. კანონი ამას არ მიკრძალავს. იგი რომ დეპუტატი ყოფილიყო ან სხვა გარემოებებს შეეშალა ხელი, სხვა საქმე იყო.*

– როგორ წარიმართება საქმის შემდგომი განვითარება?

*– ამას ჩემი ხელმძღვანელობა გადაწყვეტს. ჩემი მოსაზრებები ჩამოვაყალიბე წერილში, რომლითაც ხელმძღვანელობას საქმის კურსში ჩავაყენებ. კანონში ჩამოთვლილია აცილების მთელი რიგი გარემოებები, რომლის დადასტურებისას გამომძიებელი თვითონ უნდა განერიდოს საქმეს.*

ბატონ თენგიზთან საუბრის შემდეგ, სოფელ გაჩიანში თავად ალიბეგ ოჯახვერდოევი მოვინახულეთ და ამბები დაწვრილებით გამოვკითხეთ.

– როგორ წარგადგინეს პროკურატურაში?

*– ჩემთან მოვიდა პოლიციის უფროსის მოადგილე. პროკურორი გიბარებსო. მე უარით გავისტუმრე, რადგან 12 საათზე ბატონ ვახტანგ გოგუაძეს უნდა შევხვედროდი. თანაც ახსნა-განმარტებას არ მივცემდი – ქვემო ქართლის მხარის ხელმძღვანელობას არ ვენდობი. მიწების გაყიდვის მთავარი ხელმძღვანელი გუბერნატორი ლევან მამალაძეა. ამიტომ იგი ძიების ობიექტურად წარმართვას არ დაუშვებს.*

*პროკურორთან წამიყვანეს. მან მითხრა, რაც იცი, დაწერეო. არ დავწერე, ვინაიდან ამ მხარეში არავის არ ვენდობი. განცხადება მიხეილ ოსაძესთან შევიტანე და მის პასუხამდე არაფერს არ ვიტყვი-მეთქი. პროკურორმა მიპასუხა, ჩვენ დაგეხმარებითო. დაწერეს აქტი და სახლში გამიშვეს.*

– რომელ საათზე მოგაკითხეს?

*– თერთმეტის თხუთმეტ წუთზე.*

– რამდენ ხანს გაგაჩერეს?

*– პროკურატურიდან 13 საათსა და 15 წუთზე გამოვედი.*

– პროკურატურაში თქვეს, რომ რამდენჯერმე იყავი დაბარებული, მართალია ეს?

*– ოფიციალური უწყება მხოლოდ ერთხელ მომივიდა.*

– თქვენს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ცილისწამებისთვის არის აღძრული. წერილში მოყვანილ ფაქტებს თუ დაამტკიცებთ?

*– მინდა ძიება სამართლიანად წარიმართოს. მიწების გაყიდვას დავამტკიცებ, ვიტყვი, რა დარღვევებიცაა და ვინც მონაწილეობს. ჩვენებას მივცემ საქართველოს ან ქალაქის პროკურატურას.*

– დიდი ხანია, რაც მიწების გაყიდვა დაიწყო?

*– 5 წელია უკვე, რაც ვიბრძვი. ერთი წელი ციხეშიც ვიჯექი. პირზე კაცი დამაყენეს, თითქოს აფერისტი ვიყავი და მოპარული მანქანების გაყიდვისას შუამავლობას ვეწეოდი.*

– პროკურატურაში თქვეს, რამდენჯერმე ხართ ნასამართლევი. მართლა?

*– საიდან მოიტანეს. ეს ჩემი პირველი ნასამართლობა იყო. ვინც პირზე დამადგა, ახლა ამბობს, ალალმართალი ძიება რომ წავიდეს, ვიტყვი, რომ შენ მონაწილე არ იყავიო. ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ, ამ საქმის ძიება თავიდან წარიმართოს და გაირკვეს, რატომ ვიჯექი. ვიცი, დამსაჯეს იმიტომ, რომ მიწების გაყიდვას ეჩიოდი – დაწყებული რაიონის და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებით დამთავრებული, ყველგან ჩემი განცხადებაა – უშიშროებაში, საგადასახადო ინსპექციაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში. კონტროლის პალატაში შეტანილი განცხადება უკან, გუბერნიაში გადმოაგზავნეს. იქიდან მოვიდნენ, მითხრეს, დაწერე, რომ შენი დაწერილი არ არისო. ვიუარე. დამემუქრნენ: შენვე აგებ პასუხსო. მართლაც, დამიჭირეს.*

*ბევრნი ვიყავით, მაგრამ მე რომ დამიჭირეს, ყველას შეეშინდა. ახლა ჩემი სახლის უწინდელ პატრონს პოლიციაში განცხადება შეატანინეს, თითქოს ამ სახლში ძალით შევიჭერი. არადა, 10 ათასი დოლარი გადავუხადე.*

– კონკრეტულად ვის გებრძოდით?

*– ამ ხუთიოდე წლის წინათ ხუტა მამალაძე მებრძოდა. რაიონის დანგრევისთვის დეპუტატად დააწინაურეს. სწორედ მან დაიწყო მიწის გაყიდვაც. შემდეგ ორგანიზატორი გახდა ლევან მამალაძე. მებრძოდა გარდაბნის გამგებელი, ოლეგ ნიკოლეიშვილიც, ახლა გურიის გუბერნატორი რომ გახდა.*

*ასეთი ფაქტიც მოხდა: ალიევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით სოფელში მასწავლებლებისთვის ჰუმანიტარული დახმარებით 60 ტონა ფქვილი და სკოლებისთვის 30 ტონა დიზელის საწვავი მოვიდა. ეს ყველაფერი ნიკოლეიშვილმა გასანაწილებლად დეპუტატ ისაკ ნოვრუზოვს გადასცა. მან ფქვილი და საწვავი გაყიდა, ფული კი ჯიბეში ჩაიდო.*

*ნოვრუზოვს საქართველოს მიწაც ჰუმანიტარული დახმარება ჰგონია. ვისაც ვამხელ, მათთან დაპირისპირებისთვის ყოველთვის მზად ვარ. მიწები გაიყიდება და საქმე იქამდე მივა, რომ იტყვიან, ქართველებს გვასახლებენო და ხალხიც აჯანყდება. არ მინდა, მდგომარეობა ასე დაიძაბოს. სიმართლე დროულად უნდა გაირკვეს.*

– თქვენც მიწის გულისთვის ხომ არ იბრძვით?

*– მიწის მეტი რა მაქვს. 2300 კვ.მეტრი მიწა და სახლ-კარი მაქვს. მეტი არ მჭირდება.*

– ვისზე იყიდება მიწები?

*– აქაურებზეც და ჩამოსულებზეც. რუს სამხედროებსაც მიწა სხვის სახელზე აქვთ აღებული და სახლების აშენებაც უნდათ. ფიქტიური განქორწინებებიც ბევრია. 5 წელიწადში 3500-მდე გაყრა გაფორმდა, რითაც მიწები ოჯახის წევრებმა ცალ-ცალკე მიიღეს. 100 გაყრა ერთ დღეშია გაკეთებული.*

*1992 წლის 7 თებერვალს შევარდნაძემ განკარგულება გამოსცა, რომ 1992 წელს განქორწინებულები მიწით დაკმაყოფილებინათ. ამის განმკითხავი კი არავინაა. ყველაფერი ინერციით, ძველებურად გრძელდება.*

*ლევან მამალაძემ მშრომელი ხალხი დააჩოქა. ვისაც მუშაობა უნდა, სამუშაოს არ აძლევს. პირველი კატეგორიის მიწები მესამე კატეგორიადაა გაფორმებული, რომ ხაზინაში ნაკლები გადასახადი შევიდეს.*

*ამ ნაყოფიერ მიწებს სათიბად იყენებენ. ერთ შეკვრა თივას დოლარად თურქეთში ყიდიან. ახლა ვითომ ხორბალი არ მოდის, მაშ, ადრე როგორ მოჰყავდათ? ტექნიკაც გაყიდეს. ვერაფერს გაიგებ, ისეთი უპატრონობაა.*

– გემუქრებიან?

*– გაჩიანის გამგებელი ბაირამოვი მოკვლით მემუქრება. ჩემს წინააღმდეგ ხალხს ამხედრებს, თითქოს ერის მოღალატე ვიყო. ლევან მამალაძემ და მხარის პროკურორმა სიომა მაჭავარიანმა სოფლის თავყრილობა მოაწყეს. ფირი აზერბაიჯანში გაგზავნეს, მაგრამ იქ ჯერ ტელევიზიით არ გადაუციათ. გასახლებითაც მემუქრებიან. ჩემი სამშობლო საქართველოა. აქ დავიბადე და აქვე მოვკვდები. სანამ ჩემს სიმართლეს არ დავამტკიცებ, არ გავჩერდები.*

*მინდა ეს ამბავი პრეზიდენტამდე მივიდეს და მან განსაჯოს მტყუან-მართალი.*

ესაუბრა
**გუბაზ მეგრელიძე**
„დილის გაზეთი“
26 სექტემბერი

# სომხეთი — რუსეთის სანდო პლაცდარმი...

მეოთხე გვერდიდან

ითხიც დაკავშირებულია ყარაბაღის პრობლემის მოგვარებასთან.

*– თქვენი აზრით, რა გავლენა შეიძლება იქონიოს თურქეთ-ისრაელის სამხედრო თანამშრომლობამ რეგიონზე, და კერძოდ, სომხეთზე?*

– ვფიქრობ, რეგიონში კონფლიქტების გაღრმავებისაკენ მიმართული ყველა შეთანხმება ასე თუ ისე სომხეთზეც იმოქმედებს, თუ ისრაელ-თურქეთის სამხედრო შეთანხმება არაბული ქვეყნების წინააღმდეგაა მიმართული, ბუნებრივია, გამწვავდება დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში და უფრო გაურკვეველს გახდის სომხეთის მდგომარეობას.

ე.წ. კავკასიის ეუთოს შექმნასთან მიმართებაში სომხეთის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს ინიციატივა ჩეჩნეთს ეკუთვნის და იმისდა მიუხედავად, რაც პრესაში იბეჭდება, მის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, არც საქართველო და აზერბაიჯანი უჭერენ მას მაინცდამაინც მხარს. უბრალოდ, მათ თავისი პრობლემები აქვთ ჩეჩნეთთან და არ სურთ მისი განაწყენება. „არსებობს ბორის ელცინის ინიციატივა – კავკასიის 4 ქვეყნის (რუსეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ხელმძღვანელთა კისლოვოდსკის შეხვედრა, რომელზეც გადაწყდა, რომ მსგავსი შეხვედრები პერიოდულ ხასიათს მიიღებდა. მოსკოვში ჩემი ვიზიტის დროს ეს საკითხი სერიოზულად განიხილებოდა, ამ იდეას მეც მივესალმები. ჩეჩნეთის ინიციატივა, ფაქტიურად, რუსეთის ინიციატივის ჩაგდების მცდელობა იყო. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების მაღალი დონის შეხვედრები გაცილებით სერიოზული პერსპექტივების მქონეა, ვიდრე ჩეჩნეთის ინიციატივა.

*– როგორი ურთიერთობაა სომხეთსა და თურქეთს შორის?*

– ჩვენი მხრიდან პრობლემა არ არსებობს. ყოველგვარი პირობების გარეშე მზად ვართ თურქეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად, საზღვრების გასახსნელად, ჩვენი კომუნიკაციების შესათავაზებლად სატრანზიტო ვაჭრობისათვის. თურქეთიც თითქოს თანახმაა ყოველივე ამაზე, თუმცა ისეთი მახე დაიგო, რომ გამოსვლას ვეღარ ახერხებს: სომხეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას იგი სომხეთ-აზერბაიჯანის პრობლემებს, კერძოდ, ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებას უკავშირებს. ჩვენ ამაოდ ვეცადეთ მათი დარწმუნება ამ ორი საკითხის შეუთავსებლობაში და მათ ცალ-ცალკე განხილვის აუცილებლობაში. შეიძლება, იმაში ვართ დამნაშავე, რომ კარგად ვერ განვუმარტეთ ყველაფერი. მე მიმაჩნია, რომ თუ თურქეთი ნამდვილად დაინტერესებულია სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებაში, სურს ყარაბაღის პრობლემის მოგვარებისათვის ხელშეწყობა, მაშინ, ჩემის ღრმა რწმენით, თურქეთი გაცილებით იოლად მიაღწევს თავის მიზნებს, თუ ჯერ თავის ურთიერთობებს გააუმჯობესებს სომხეთთან მიმართებაში. ამით თურქეთი ყარაბაღის პრობლემის დარეგულირებასაც შეუწყობს ხელს.

*– გასულ წელს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბრძანეთ, რომ ხელისუფლების სათავეში ოპოზიციის მოსვლა ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლებას გამოიწვევს. დღეს რა ვითარებაა ამ პრობლემასთან მიმართებაში, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როცა მთიანი ყარაბაღის თავდაცვის მინისტრი საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობის შესახებ აცხადებს და იგი არ უკავშირებს ამას ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლას?*

– ეს ვთქვი, მაგრამ ზუსტად ისე არა, როგორც თქვენ ამბობთ, თუმცა, არსი იგივეა. დარწმუნებული ვიყავი, ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში ავანტიურაზე წავიდოდა, რაც პირველ რიგში ყარაბაღში საომარი მოქმედებების განახლებას ითვალისწინებს. მაგრამ, იცით, ეს ის ვარაუდია, რომელიც არ მტკიცდება. როგორც ცნობილია, ისტორიაში არ არსებობს „თუ".

რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის თავდაცვის მინისტრის განცხადებას, მიმაჩნია, რომ ეს გაუფრთხილებელი, მოუქნელი განცხადებაა დარეგულირების დღევანდელი პროცესის ფონზე. მე მინდა ეს მინისტრის პირად შეხედულებად ჩავთვალო, რომელიც საერთოდ არ გამოხატავს ყარაბაღის ხელისუფლების პოზიციას. ჩვენ მთელ მსოფლიოსთან ერთად დავინახეთ, თუ რამდენად დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა მთიანი ყარაბაღის ხალხმა. ჩემთვის და მთელი მსოფლიოსთვის ყარაბაღის ხელისუფლების აზრის გამომხატველი მისი პრეზიდენტია.

რაც შეეხება საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობას, მიმაჩნია, რომ ახლო მომავალში ომი არ დაიწყება, რადგან სამშვიდობო პროცესს უკვე სერიოზული საფუძვლები აქვს. დღეს ომი არც ყარაბაღს აძლევს ხელს და არც აზერბაიჯანს, რადგან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების სერიოზული იმედები გაჩნდა.

*– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ სომხეთისა და აზერბაიჯანის შეიარაღების თანაფარდობაზე და აზერბაიჯანის უპირატესობას აღნიშნავენ. როგორია დღეს ეს თანაფარდობა და არის თუ არა რაიმე შედეგები სამმხრივი კომისიის მუშაობაში, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის შეიარაღების მიწოდების საკითხებს განიხილავს?*

– რაც შეეხება პირველ შეკითხვას – ციფრებს არ გაგიმჟღავნებთ. ჩვენი გაანგარიშებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში აზერბაიჯანმა სომხეთთან შედარებით 2-3-ჯერ მეტი იარაღი, ჯავშანტექნიკა და ტყვიაწამალი მიიღო. თუმცა, საომარი მოქმედებების დროს აზერბაიჯანმა ძალების ძირითადი ნაწილი დაკარგა. ორმაგი და სამმაგი უპირატესობის შემთხვევაში აზერბაიჯანი უკვე განაახლებდა საომარ მოქმედებებს.

კომისიასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუწყია არსებითად მუშაობა. ჯერ არ შემდგარა სამმხრივი შეხვედრა. ამჟამად ორმხრივი კონსულტაციები მიმდინარეობს.

რეგიონის ლიდერობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პრეზიდენტმა უპასუხა, რომ თუ საუბარი ახლო აღმოსავლეთს ეხება, აქ ლიდერობაზე ვერ იფიქრებენ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. რეგიონში ლიდერობის პრეტენზია აქვს თურქეთს, თუმცა, ვერც ის შეძლებს ამას, რადგან დიდი პრობლემები აქვს ლიდერობის სხვა პრეტენდენტ ქვეყნებთან.

*– ბატონო პრეზიდენტო, 25 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მხარი დაუჭირა (344 ხმით 1-ის წინააღმდეგ) სომხეთის რუსეთ-ბელორუსის კავშირში გაწევრიანებას. თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით?*

– ჯერ ერთი რამ დავაზუსტოთ – სომხეთის მხრიდან არ არის ასეთი ინიციატივა. ეს ინიციატივა რესპუბლიკის გარკვეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკუთვნის. რაც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას, ჩემთვის გასაოცარია იგი. ეს კენჭისყრა, ვფიქრობ, რამდენიმე წამქეზებელი მოტივის შედეგია, რადგან მას სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალებმა დაუჭირეს მხარი. დარწმუნებული ვარ, რომ დეპუტატების უმრავლესობა სომხეთისადმი მეგობრული დამოკიდებულების გამოა დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის ამ კავშირში გაწევრიანებით. დანარჩენს, ასევე გულწრფელად სურს რუსეთ-სომხეთის ურთიერთობების გამყარება. ზოგიერთს იმპერიული ამბიციები ამოძრავებს, რადგან ამ კავშირში სურთ აღადგინონ რუსეთის ძველი ძლევამოსილება. რაც შეეხება ინიციატივას, მინდა გავარკვიო ეს საკითხი.

ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო სათათბირო ფაქტიურად მიესალმება რუსეთ-სომხეთს შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების" დადებას და სომხეთს, როგორც საიმედო პარტნიორს, განიხილავს. სომხეთში ამ პროცესთან დაკავშირებით მოგეხსენებათ, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კომუნისტებისა და ინტელიგენციის ჯგუფის ინიციატივით რუსეთ-ბელორუსიის კავშირში გაწევრიანების მხარდამჭერი ხელშეკრულებები გროვდებოდა. როგორც ამბობენ, დაახლოებით 1 მილიონი ხელმოწერა შეგროვდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ეს არ შეუწყობს ხელს რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიცირებას. შემთხვევითი არაა, რომ აზერბაიჯანმა სწორედ ახლა დაიწყო ჩვენი ხელშეკრულების საწინააღმდეგო კამპანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ჩვენ უკვე გვაქვს ამის გამოცდილება: გავიხსენოთ, რომ აზერბაიჯანმა სწორედ მაშინ წამოწია სომხეთისათვის რუსეთიდან თითქოს უკანონოდ იარაღის მოწოდების საკითხი, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს დღის წესრიგში შეტანილი იყო სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზის რატიფიკაციის საკითხი. აზერბაიჯანის მთელი ძალისხმევა ამ რატიფიკაციის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც ვერ მიაღწიეს. თქვენ გეგონათ, რომ ჩვენ მორიგი დიპლომატიური მარცხი განვიცადეთ, რადგან პრესაში აზერბაიჯანის „ჩაწოდებაზე" დიდი აურზაური ატყდა. თუმცა, პირიქით მოხდა – თავად აზერბაიჯანმა განიცადა თავბრუდამხვევი მარცხი. რა თქმა უნდა, გემახსოვრებათ ამ ხელშეკრულების სახელმწიფო სათათბიროში კენჭისყრის შედეგები. ახლაც იგივე ხდება. აზერბაიჯანი დღესაც ყველაფერს გააკეთებს რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის ჩასაშლელად და გარწმუნებთ, რომ რუსეთშიც გამონახავს მხარდამჭერ ძალებს. დუმაშიც კი, სადაც ასეთი ერთსულოვანი კენჭისყრა მოეწყო 25 სექტემბერს, გამოინახება ხალხი, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას. სომხეთის რუსეთ-ბელორუსიის კავშირში გაწევრიანების საკითხს უკუქმედება მოჰყვება როგორც სომხეთში, ასევე რუსეთში. საინიციატივო ჯგუფები დღემდე მშვიდად აგროვებდნენ ხელმოწერებს, ეწეოდნენ აგიტაციას, თუმცა კონტრპროპაგანდას ფაქტიურად ადგილი არ ჰქონია. როდესაც მოხდება ამ საკითხის კანონის დონეზე გადაწყვეტის მცდელობა, როდესაც დასამტკიცებლად წარედგინება იგი ეროვნულ საკრებულოს, როდესაც მოითხოვენ რეფერენდუმის ჩატარებას და ა.შ. მაშინ, ბუნებრივია, სომხეთის მრავალი პოლიტიკური პარტია დაიწყებს კონტრპროპაგანდას. ამას რუსეთშიც მოჰყვება სათანადო რეზონანსი.

ინიციატორებს მოვუწოდებ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში გამონახონ მხარდამჭერები რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის მისაღწევად, ხოლო შემდეგ იფიქრონ რუსეთ-ბელორუსიის კავშირში სომხეთის გაწევრიანება-არგაწევრიანების საკითხზე. (პრაიმ-ნიუსი)

# არ შეიძლება იმის დავიწყება, როგორ მოექცნენ ძოძუაშვილს...

ნაკლებად თუ აღიქვამს ვინმე სერიოზულად საუბრებს იმის შესახებ, რომ სპორტსა და პოლიტიკას არანაირი შეხების წერტილები არ გააჩნია. სპორტი ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ფართო ფენებზე ორიენტირებული პროპაგანდის უძლიერესი იარაღია. დროშები და ჰიმნები ყველა მსხვილი შეჯიბრების განუყოფელი ატრიბუტიკაა, ხოლო გამარჯვებულის მიერ გაშლილი დროშით საპატიო წრის შემოვლა მთელი ერის ტრიუმფის, სიამაყის ცრემლების, ეროვნული სულის ზეიმის წამებია. პატარა სახელმწიფოსთვის მისი წარმომადგენლის გამარჯვება მსოფლიო, ან კონტინენტის ჩემპიონატზე იძლევა იმის უდიდეს საშუალებას, რომ მთელ მსოფლიოს აჩვენოს თავისი შესაძლებლობები და შეახსენოს საკუთარი თავის შესახებ.

სპორტის რომელი სახეობა შეედრება ფეხბურთს თავისი პოპულარობითა და პროპაგანდისტული შესაძლებლობებით?

მოვახდინოთ ცნობილი პერიფრაზირება: „ფეხბურთი საქართველოსთვის ფეხბურთზე მეტია". ათწლეულების მანძილზე მას სავსებით გამოკვეთილი ადგილი ეკავა ქართველთა ცხოვრებაში. ფეხბურთი იყო სულის მოთქმა, იმედი, სიამაყისა და იმედგაცრუების საგანი. ის, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არ ჰქონდათ საკუთარი დროშის ქვეშ გამოსვლის საშუალება, რომ უცხოურ პრესაში ჩვენს გრძელცხვირა და შავთმიან „კავკასიური წარმოშობის პირებს" „რუსებს" უწოდებდნენ, არანაირად არ ამცირებდა საერთაშორისო ასპარეზზე მათ გამოჩენას (და წარმატებებს). მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და გავიხსენოთ, გვახსოვს თუ არა ისეთი საერთო ეროვნული, ჭეშმარიტად ერთსულოვანი აღმაფრენის დღე, როგორიც იყო 1981 წლის 13 მაისი?

დღეს ჩვენ ეროვნული დროშის ქვეშ გამოვდივართ; ვართ ფიფას, უეფას წევრები და მონაწილეობას ვიღებთ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, კონტინენტის საუკეთესო საკლუბო გუნდების შეჯიბრებაში. ზოგჯერ უნარი შეგვწევს, ტოლი არ დავუდოთ მსოფლიო ფეხბურთის გრანდებს და უშუალო ზეგავლენა მოვახდინოთ მათ მომავალ ბედზე ამ თუ იმ ტურნირში. მაგრამ ჩვენ მეტი გვინდა და ეს სავსებით ნორმალურია. საკითხავია, შევძლებთ კი უფრო მეტის მიღწევას არსებული ვითარების პირობებში? ითქმება, რომ ფეხბურთსა და პოლიტიკაში ყველა ერკვევა, მაგრამ ასე ძირითადად ისინი ფიქრობენ, ვინც სინამდვილეში არც ერთსა და არც მეორეში არ ერკვევა. ამიტომ, სპეციალისტებისა და ავტორიტეტების რისხვა რომ არ დაგვატყდეს თავს, არ შევიჭრებით იმ სფეროებში, რომლებითაც მართლაც რომ პროფესიონალები და სპეციალისტები უნდა იყვნენ დაკავებულნი. არ განვიხილავთ საკითხს იმის თაობაზე, ღირდა თუ არა ეროვნული ნაკრების წინა მწვრთნელის, ჩივაძის შეცვლა ყოფიანით.

მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყებაც, თუ როგორ მოექცნენ ძოძუაშვილს, რომელიც გამოიძახეს მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დასანიშნად, მაგრამ მეორე მწვრთნელად დანიშნეს. ამ ისტორიაში ძოძუაშვილმა თავშეკავება და ღირსება გამოავლინა, მის წინააღმდეგ კი ნამდვილი უდიერება და უტიფრობა გამოიჩინეს. შეიძლება ითქვას, ეს ინდივიდუალური უტიფრობის მაგალითია, იმ გაგებით, რომ მიმართული იყო ერთი ინდივიდუუმის წინააღმდეგ. ახლა ვნახოთ, რამდენია ჩვენს საფეხბურთო საქმიანობაში მასობრივი, ანუ გულშემატკივართა წინააღმდეგ მიმართული უტიფრობა.

ალბათ, არ მოიძებნება სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც რაიმე იმის მსგავსი ხდებოდეს, რაც ჩვენთან ხდება სტადიონზე შესასვლელ ბილეთებთან დაკავშირებით. ფეხბურთი გულშემატკივრებისთვის არსებობს და არ შეიძლება წაართვა მათ იმის უფლება, რომ წელიწადში რამდენჯერმე დაესწრონ და უგულშემატკივრონ თავის ეროვნულ გუნდს. თამაშზე დასასწრები ბილეთის ფასი არ შეიძლება უტოლდებოდეს საშუალო სტატისტიკური გულშემატკივრის საშუალო თვიურ ხელფასს. როცა მას მაინც უტოლებენ, ვიღებთ იმას, რომ ოფიციალური მონაცემებით, იტალიასთან (და სხვა მრავალ) თამაშზე გაიყიდა 15 ათასამდე ბილეთი, სტადიონზე კი 60 ათასზე მეტი მაყურებელი იყო. მსგავსი რამ მართლაც რომ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს.

მხოლოდ ჩვენთან შეიძლება დაკეტონ სტადიონის შესასვლელი ჭიშკარი 40 წუთით ადრე მატჩის დაწყებამდე და არ შეუშვან ბილეთიანი გულშემატკივრები. შემდეგ გააღებენ ჭიშკარს და შეუშვებენ ყველა გულშემატკივარს. რაკი ჭიშკარი ვახსენეთ, არ შეიძლება არ გაგვაოცოს იმან, რომ მათი უმეტესობა დაკეტილი რჩება თამაშის დამთავრების შემდეგ, რაც საშიშ ჭყლეტას ქმნის სავსებით სწორ ადგილას. კარგი ბატონო, შიგნით თუ არ უშვებთ, გარეთ მაინც გამოუშვით!

ღმერთმა დაგიფაროთ და სტადიონზე დაუცლელი შარდის ბუშტით მიხვიდეთ. სამაგიეროდ, თუკი მსგავსი რამ საერთოდ აღმოაჩინეთ და შიგ შესვლა მოახერხეთ, ალბათ წყლის ისეთ შიშს გაგიჩენთ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გაგყვებათ. არ მგონია ვინმე გააკვირვოს იმან, რომ ჩვენი ეროვნული სტადიონისთვის დამახასიათებელ სუნად იქცა არა გაზონისა და ახლად გაკრეჭილი ბალახის სუნი...

დაბადებია თუ არა ვინმეს კითხვა, თუ რისთვის არის დამონტაჟებული სტადიონზე ტაბლო? თუ ჩვენი მთავარი არენის მეპატრონეებმა ოდესმე იცოდნენ მისი დანიშნულების შესახებ, ახლა ნამდვილად დაივიწყეს. საქართველო-იტალიის მთელი მატჩის მანძილზე ტაბლო მაყურებლებს მხოლოდ კონიაკის, არყის, ღვინის და ლუდის რეკლამებით აბეზრებდა თავს. სამაგიეროდ, თავი არავის შეუწუხებია ხუთი წუთით მაინც გამოენათებინა გუნდების შემადგენლობები. ეს მაშინ, როცა სტადიონის რადიოფიცირებიდან ნაკლებად თუ დარჩა რამე და მრავალ სექტორში საერთოდ არ ისმის დიქტორების ხმა (თანაც, საინტერესოა, სად არჩევენ ისეთ დიქტორებს, ჩვენი ნაკრების მოთამაშეთა გვარებსაც რომ ვერ გამოთქვამენ სწორად?!).

სამაგიეროდ, რა ჭიდაობა გვაქვს! ბუნებრივია, არა ბერძნულ-რომაული და არც თავისუფალი, არამედ ჭიდაობა სპორტის დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის. ასეთი დაუნდობელი ბრძოლაც (რომელიც ფეხბურთს უქადის სიკვდილს, თორემ ფუნქციონერები ნებისმიერ შემთხვევაში გადარჩებიან) მხოლოდ ჩვენთან არის შესაძლებელი. ეს უკვე ჭიდაობა კი არა, ნამდვილი, ყველაზე დაუნდობელი და დამანგრეველი ომია და ვიდრე ეს ომი მიმდინარეობს, ყველასგან მივიწყებული, დამცირებული და დაბნეული ჩვენი გულშემატკივარი მოვა ხოლმე თავის ოდესღაც საყვარელ სტადიონზე და ვერ იგრძნობს თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში. (პრაიმ-ნიუსი)

# ასლანი იქ არის, მაგრამ აქ იგრძნობა...



საქართველოს მთავრობამ 1 ოქტომბრამდე უნდა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. თუმცა, ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე, მთავრობას, ალბათ, მოუწევს პროექტში იძულებითი ცვლილებების შეტანა. მიზეზი - აჭარის ხელისუფლების მოთხოვნა ავტონომიური რესპუბლიკისათვის ტრანსფერტის გამოყოფის მომატების შესახებ.

ამ საკითხებზე მოლაპარაკების მიზნით, კვირის მიწურულს ბათუმს ეწვია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დელეგაცია მინისტრის, მიხეილ ჭკუასელის ხელმძღვანელობით. აჭარის ხელმძღვანელი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე ამ დროს თურქეთში იმყოფებოდა, სადაც 20 აგვისტოდან ატარებს შვებულებას და პარალელურად მკურნალობს კიდეც.

აჭარის ხელისუფალთა მტკიცებით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ტრანსფერტი, 1 მილიონ 700 ათასი ლარის ოდენობით, არაა საკმარისი მთიანი რაიონების - ქედის, ხულოსა და შუახევის დასაფინანსებლად. მათ ფინანსთა მინისტრისაგან ამ თანხის 6,5 მილიონ ლარამდე გაზრდა მოითხოვეს, ისევე როგორც მიმდინარე წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული. ამავე დროს, აჭარა მიმდინარე წელს საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით უკეთესად ართმევს თავს ბიუჯეტის შესრულებას.

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის 8 თვის მონაცემებით, აჭარამ საშემოსავლო ნაწილი 17 მილიონი ლარით შეასრულა, რაც გეგმის 135 პროცენტს შეადგენს. მათ შორის, საგადასახადო განხრით ბიუჯეტში შემოსულია 12,2 მილიონი ლარი, ხოლო საბაჟოს ხაზით - 16,7 მილიონი ლარი.

ამასთან, საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილი - 10 მილიონი ლარი (78 პროცენტი - ბათუმზე მოდის).

მიხეილ ჭკუასელის აჭარის მაღალმთიან რაიონებში ყოფნისას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წამოწიეს ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური სფეროების დაფინანსების საკითხი, რომლის გადაწყვეტის იმედსაც სწორედ ტრანსფერტზე ამყარებენ. ჭკუასელის აზრით, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა გაუწიოს დახმარება ამ რაიონებს, ოღონდ 1998 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ ფარგლებში.

ფინანსთა მინისტრმა თავის მხრივ თქვა, რომ აჭარის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, მთიანმა რაიონებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მეწარმეობის განვითარებასა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას.

მიუხედავად ამისა, ფინანსთა მინისტრის აჭარაში ყოფნის მიწურულს ბათუმში გამართულ თათბირზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაინც შეძლო თბილისელი სტუმრების გადაბირება. მიხეილ ჭკუასელმა შესაძლებლად მიიჩნია ტრანსფერტის მომატება და პირობა გამოთქვა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას თბილისში ამ დღეებში მიიღებენ.

თუ თბილისი დათანხმდება აჭარის მოთხოვნების შესრულებას, როგორც პრაიმ-ნიუსს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მირიან მურჯიკნელმა უთხრა, ტრანსფერტი 2 მილიონი ლარით გაიზრდება და 3,7 მილიონ ლარს შეადგენს.

ამ შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტრო 2 მილიონ ლარს ჩამოაჭრის აჭარის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილს და იგი 35 მილიონ ლარს გაუტოლდება, - უთხრა პრაიმ-ნიუსს აჭარის საგადასახადო სამსახურის უფროსმა ტარიელ ბარამიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარისათვის არცთუ უმნიშვნელო საკითხის გადაწყვეტისას ასლან აბაშიძე თურქეთში იმყოფება, ტრანსფერტის გაზრდა არ გახდება დიდი პრობლემა.

ასლან აბაშიძის ფიგურისა და თვით აჭარისადმი დელიკატური დამოკიდებულება თბილისს ამ დათმობაზე წასვლას აიძულებს, როგორც ეს გასულ წელს მოხდა. მაშინ, ისევ აჭარის ხელისუფლების მოთხოვნით, თბილისი დათანხმდა დღგდან - 40 პროცენტისა და საბაჟო შემოსავლებიდან იმავე ნაწილის რესპუბლიკისათვის დატოვებაზე. შევარდნაძის ხელისუფლების ასეთი დათმობა დღემდე უპრეცედენტო შემთხვევად რჩება რეგიონებთან მიმართებაში.

**ინგა დადიანი,**
პრაიმ-ნიუსი

## ● საზღვარგარეთ

### ორი ჩეჩენი დაიღუპა

ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე დაღესტნის მილიციასთან შეტაკებისას ორი ჩეჩენი დაიღუპა და ერთი დაიჭრა. ორიც მილიციამ დააპატიმრა.

დაღესტნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შეტაკება მას შემდეგ მოხდა, რაც გერზელის მილიციის პოსტზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იმ ჩეჩნების დაკავებას შეეცადნენ, რომელთაც ქალაქ ხასავ-იურთის ავტოსადგომიდან რამდენიმე ავტომობილი გაიტაცეს და დარაჯები მძევლად აიყვანეს. დამნაშავეებთან შეტაკებისას დაიჭრა მილიციის ხასავ-იურთის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე, პოდპოლკოვნიკი გოიტემიროვი. მძევლები არ დაშავებულან. (გეა)

### მიწისძვრა ინდონეზიაში

გუშინ ინდონეზიის ჩრდილოეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა და 21 დაშავდა. მიწისძვრის ეპიცენტრში მისი სიმძლავრე რიხტერის შკალის მიხედვით 6 ბალს შეადგენდა.

ინდონეზიის ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, სტიქიური უბედურების ზონაში დანგრეულია ათასობით საცხოვრებელი სახლი. მნიშვნელოვნად დაზიარალდა საკომუნიკაციო სისტემებიც. (გეა)

### თალიბები შეტევას განაგრძობენ

თალიბთა შეიარაღებულმა რაზმებმა იერიში მიიტანეს ანტითალიბური კოალიციის მიერ გამაგრებულ ქალაქ მაზარი-შარიფზე. ქალაქის მისადგომებთან თალიბებმა აიღეს თბოელექტროსადგური და ორი ქიმიური ქარხანა.

მაზარი-შარიფში დარჩენილი არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, ქალაქში ქაოსი და პანიკა სუფევს. ოპოზიციის ჯარისკაცები მაროდიორობენ. დაშინებული მშვიდობიანი მოსახლეობა მეზობელ პროვინციებში გარბის.

გენერალი აბდულ რაშიდ დუსტუმი მაზარი-შარიფიდან მშობლიურ ქალაქ შიბარგანში გაიქცა და კონტრშეტევისათვის ემზადება.

„შარიათის რადიოს“ ცნობით, უახლოეს დღეებში თალიბებს მაზარი-შარიფის მთლიანად დაკავება აქვთ დაგეგმილი. როგორ ცნობილია, მათ მაისში უკვე აღებული ჰქონდათ ეს ქალაქი, რაშიც თავისი მეთაურის, გენერალ დუსტუმის მოღალატე გენერალი აბდულ მალიქი დაეხმარა, მაგრამ კოალიციის ჯარებმა თალიბების ქალაქიდან განდევნა შეძლეს. (გეა)

## ხოხმაპორდი



**მხოხავ დაზვერვაზე:** 1. კოკადან წარმონაქმნი ნარკოტიკი; 5. დაობებული მებადური; 7. ყველაზე დიდრქიანი ცხოველი; 11. გამოცდილი ხე (რუს.ნაწ.კავშ.); 12. ლაღიძეების ლიმონათის „ჯო“; 13. გეგმა, რომლითაც იკაიფებ; 15. ლიმონათის „კლიენტი“; 16. მეცნიერი, რომელსაც ვაშლი ეხმარებოდა აღმოჩენებში; 17. ბანების მომღერალი სათვალე; 20. საქები ქალაქი; 21. აზელილი დესერტი; 22. „მისტერ“ ხაჩიკიანის საყვარელი საჭმელი; 25. ტიკში გამოყვანილი რკოს შემცვლელი საკაიფო; 28. ბუს სათამაშო კარტის სახეობა; 30. ვერის უბნის „ვიატკა“; 31. თ) ექვსი სულის საჩალიჩო მიწიდან ამოსაგდები; 32. ბაასის განმხილველი, მოკამათე პირველი ნახევარი; 33. დამაქცევარი ფასიანი ქაღალდი; 36. ფერებში გაწყობილი ჯადოქარი; 37. გოგიას ყარაჩოხელი პროტეჟე; 38. თხასავით მხტომარე, ვირივით ჯიუტი მენაგვე; 40. საყურეები მუსიკალური კლიპიდან; 41. მუზების მომყვანი სპეც.ავტომობილი.

**სარგადაყლაპული:** 1. ოპერაში ტივზე მოტასავე კოლექტივი; 2. კოლექტივიზაციის მიერ გაყვლეფილი, დაჩუმორებელი დასარტყმელი (რუს.კავშ.); 3. აეია ხარი; 4. ქვეყანა, სადაც იები პატარა ჯიშის ცხენებში ეშლებათ; 5. ტანკით ასაღები სატელევიზიო ანძა; 6. ბანკის „სავიზიტო“ ბარათი; 7. მარტში დასალევი სპირტიანი სასმელი; 8. რწყილზე გასაცლელი; 9. ჩიტის ნობათი, რომელიც არავის უნახავს, მაგრამ სუფრის ბარაქას ავსებს; 10. გირვანქანახევრიანი ან ნახევარგირვანქიანი ვაშლი (კინო); 14. დედალი თმა; 18. სადაც გამოჩნდება თეთრი და შავი; 19. სოფელი სამეგრელოში, სადაც წაყვანასაც ჰპირდებოდა კოსტაია ტასიას (კინო); 20. თოჯინა „ბარბის“ მუსიკალური საკრავი; 23. ჯორების კურორტი; 27. აღმოდებული ქონიანი სახელმწიფო (რუს.ნაწ.კავშ.); 29. ულვაშებიანი თავსატეხი (რუს.ნაწ.კავშ.); 34. ძაღლი, რომელიც წლების მანძილზე მარჯანიშვილის თეატრის ეზოში ება; 35. შინაური ცხოველი, რომლის გაყიდვით და ყიდვით ვერაფერს მოიგებ; 39. ჩუმად საჭმელი ნამცხვარი.

**დათა კოტია**

### ნინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 5. ანტიფრიზი; 8. გიტარა; 9. ენისეი; 12. აპკი; 13. მარაო; 15. ალაო; 18. ასმათი; 19. ელისტა; 20. ნიუტონი; 21. ბრინჯი; 23. დოლარი; 25. აფრა; 26. გრიპი; 29. ვაზი; 30. იგრიკა; 32. ირტიში; 34. უფლისციხე.

შვეულად: 1. უნია; 2. წიქარა; 3. არსენა; 4. იზმი; 6. მინინა; 7. დეკანი; 10. აპოსტროფი; 11. ტარტაროზი; 14. რექტორი; 16. ფინია; 17. დეიდა; 22. ნიანგი; 24. ლაეაში; 27. რია-რია; 28. პრინცი; 31. ილფი; 33. ტახი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444